საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი 15 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 132 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 132

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ლიმინე მახარბელის ასული, შვილები: კანელიკე, ვალერიან, მარიამი, არკადი, აფრასიონ და ზაბლონია, რძლები: ბარბარე ზაქარიას ასული, და ელენე ივანეს ასული, სიძე მირონ ანდრიას ძე იმნაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 15 ივნისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

სევასტი სპირდონის ძე კვაჭაძის

სულის მოსხსენებლათ. ორაგვის ეკლესიაში. (გურიაში).

(1897 1—1)

დაობლვბული ამხანაგები: კუკური ხუნდაძე, სოსანა აბაშიძე, თარხან ჯაყელი, პოლიევკტ აბესაძე და მიშა ჩუბინიძე აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ უძვირფასესი და უსაყვარლესი ამხანაგის და მეგობრის

კოლია გაგაშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. (1900 1—1)

გულდამწვარნი ცოლი ნინა ალექსაედრეს ასული შვილებით, დედმამა მარიამ ყარამანის ასული და მინაგო კოსტასძე, ძმები ნეოფიტე და მიხეილ მინაგოს ძე, რძლები სოფიო გრიგოლის ასული და ანნა ირაკლის ასული და ბიძა იასონი კოსტასს ძე გამცემლიძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს ომში უდროვოთ მოკლული 31 მაისს აჭარაში სოფელ ხულოში მეათე ათასეულის მესამე გუნდის უფროსი კაპიტანი

არისტოკლი მინაგოს ძე გამცემლიძე

პავაშვიდი სამშაბათს 15 ივნისს ქაშვეთის ეკლესიაში 6 საათზე საღამოს. გამოსვენება და დაკრძალვა ცალკე იქნება გამოცხადებული.

(1901 1—1)

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა მომარაგების სამინისტრო ერობათა, კოოპერატივთა და კერძო სავაჭროების საშუალებით შეუდგა ნედლი პარკის დაგროვება შესყიდვას შემდეგ პირობებში: ნედლი პარკის მოსავლის ჩაბარება გასყიდვის დროს მეაბრეშუმე იღებს ადგილობრივ ბაზრის ფასს და როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში, მეაბრეშუმეს მიეცემა კიდევ ზედმეტ ფასად 30 პროცენტი წმიდა მოგებისა, პარკის შესყიდვა-მიღება მოწყობილი იქნება ქ. თფილისში (სააბრეშუმო სადგური), თელავში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ლანირო-ჭაგანში, ამაღლება-ვანში, საჯევახოში, ლანჩხუთში. ნატანებში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, აბაშაში, ახალსენაკში, ბანძაში, ხობში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, გალში, ოჩემჩირში, სოხუმში, ზესტაფონში, უწერაში, ცაგერში და სხვ. უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მთავარ რწმუნებული ი. ქუთათელაძისაგან ქ. თფილისის და ქუთაისის სააბრეშუმო სადგურეში. (ნ. 15—1)

განცხადება

შრომის სამინისტროს სოციალურ დახმარებისა

ყველა იმ პირთ, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ თხოვნები სოციალურ დახმარებისათვის, უსათუოდ უნდა წარმოადგინონ მოწმობა სიღარიბისა და ნამსახურობის შესახებ.

შრომის სამინისტრო. (ნ. 5—2)

საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტმა დაამზადა

ნ. ჟორდანიას ლიტოგრაფიული სურათი

სუფთათ და ხელოვნურათ კარგ ქაღალდზე ზომით 16—13. ყველა მსურველთ, როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებს და საზოგადო დაწესებულებებს სურათი შეუძლიათ შეიძინონ ხელმისაწდომ ფასებში თფილისის კომიტეტში, ერთობის ქ. № 4.

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

სიღნაღის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის

პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ამა წლის 30 ივნისს (ახ. სტ.) მოწვეულია ქ. სიღნაღში, საერობო გამგეობის ბინაზე სამაზრო საერობო

ხმოსანთა მე-4 ყრილობა

განსახილველით შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ. 2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3) ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა. 4) თანახმად 2 ივლისის 1919 წლის კანონისა, უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ. 5) საერობო გამგეობის წევრთა, ი. ზ. კრაწაშვილის და ს. დ. ნატროშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. 6) მიმდინარე საკითხები. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ხმოსანს უეჭველად დაესწრნენ ყრილობას.

პრეზიდიუმი. (ნ. 5—5)

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ საზოგადოების საწყობებიდან ყოველგვარი ქონება თავისუფლად იყიდება და მოსალოდნელია ზოგიერთი საქონელი კერძო პირებმა შეისყიდონ სავსებით და სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათათვის აღარ დარჩეს მათთვის საჭირო საგნები. ამიტომ გამგეობა აფრთხილებს აღნიშნულ დაწესებულებათ მათთვის საჭირო საგნები იყიდონ დაჩქარებით. ქონება იყიდება განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ გადაჭრილ ფასებში; დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ გამგეობის წევრის ი. მ. ჩიქოვანისაგან ყოველ დღე, 11 საათიდან—1-მდე (რესპუბლიკის ყოფილი პეტრე დიდის ქ. № 8).

(ნ. 2—2)

ავლაბრის მუშათა კლუბი

ხუთშაბათს ივნისს 17 — ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა — ხუთშაბათს ივნისს 17

გამართავს გრანდიოზულ

ს ა ღ ა მ ო ს

დამფუძნებელი კრების წევრი ვიქტორ თევზაია წაიკითხავს ლექციას: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო“.

ცნობილი პოეტები და მწერლები წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს და სხვ. წაკითხულ იქნება სცენები, იუმორისტ. მოთხრობები და ლექსები, სატირა, შარჟები. თარზე დაუკრავს მ. დევაძე. გაიმართება აუქციონი, ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა. დასაწყისი 8½ საათზე. (ნ. 1—1)

მომარაგების სამინისტრომ

თავის რწმუნებულათ და სავაჭრო აგენტათ ქ. ბათუმში დანიშნა დავით კახელაძე, მის თანაშემწეთ გ. საყვარელიძე. ბათუმშივე არსებობს მომარაგების სამინისტროს კანტორა, (სვიატოპოლკ მირსკის ქუჩაზე, რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების პირდაპირ). სამინისტროსთან კომერციულ საქმეთა გამო ქ. ბათუმში უნდა მიმართონ რწმუნებულს დავით კახელაძეს კანტორაში.

მომარაგების სამინისტრო. (ნ. 3—2)

ოქროს ვერძის

აქციონერთა საზ. გამგეობა ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით, (1 ივნისი, 1920 წ., № 1667) კვირას, 20 ივნისს, 1920 წ., დილის 11 საათზე, ქ. ფოთში, საზ. განყოფილების შენობაში (ლიალინის და მიხეილის ქ. კუთხე) დანიშნულია

არა ჩვეულებრივი აქციონერთა საზოგადო კრება.

გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) განხილვა და დამტკიცება გასული საოპერაციო წლისა, 2) დივიდენდის განაწილება, 3) საზოგადოების საქმის წარმოების დაყენება. ამასთან ერთად გამგეობა აცხადებს, რომ კრებას შეუძლიანთ დაესწრონ სრულ უფლებიანი ხმით, მხოლოთ ის აქციონერები, რომლებიც წარმოადგენენ თავის აქციებს თფილისში, გამგეობაში ან მის განყოფილებაში ქ. ფოთში 18 ივნისამდე და კრების გათავებამდე უკან არ დაუბრუნდებათ. აქციების მაგივრათ შეიძლება წარმოადგინოთ ბანკის კვიტანციები, სახელმწიფო და საზ. დაწესებულებების (ქალაქის და ერობის). ამ კვიტანციებში უნდა იყოს ნაჩვენები: რაოდენობა, ნომერი და ღირებულება აქციისა.

(1902—1—1) გამგეობა.

## კიდევ ოსეთზე

ბალშევიკებმა ხმა ამოიღეს. მათ თქვეს თავის გულის ნადები, მაგრამ ისე, როგორც შეფერის მათ იდეიურობას.

ისინი წინააღმდეგი არიან, რომ საქართველოს ჯარმა იარაღით გასცეს პასუხი აჯანყებულ ჯავის ხეობას. რათა? იმიტომ ხომ არა, რომ ეს აჯანყება თითონ მათ მოაწყვეს და მათი ლოზუნგების საფარველ ქვეშ დააყენეს ის ნასტრაჟნიკალი და ნაპრისტავალი ხელმძღვანელები, რომელნიც ყაჩაღებთან ერთად ამყარებენ ცხინვალის რაიონში ბალშევიკურ „სოციალიზმს“?

ერთა თვითგამორკვევის—ამ დიადი იდეის სახელით ამართლებენ ბალშევიკები ოსების მუხანათურ თავდასხმას.

ოსები თავს დაგვესხნენ მაშინ, როცა ჩვენ ფრონტი გვქონდა ადერბეიჯანის საზღვარზე და ბათომის ოლქში. ამას ეძახიან ჩვეულებრივ ენაზე—მოღალატეობას, დემოკრატიისთვის ზურგში მახვილის ჩაცემას, რაც ჯავის ოსებს მათი ბალშევიკური ყაჩაღების ლიდერობით სისტემათ გადაექცათ, და თუ ჩვენ ამის წინააღმდეგ გავილაშქრეთ, ესე იგი თავდამსხმელი მოვიგერიეთ, ეს არის თურმე, „თვითგამორკვევის უფლების შელახვა“.

მერე მართალია ბალშევიკების იდეური წუწუნი? „კომუნისტების“ პროგრამა ყველას გასაგონათ ამბობს, რომ ყველა ეროვნებას აქვს უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა, სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე“. კეთილი! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, მართლა ახორციელებს ამას კომუნისტების ლაშქარი და კომისრები?

ავიღოთ ჩრდილო-კავკასია, სადაც იმყოფება ასეთი მთავარი ტერიტორია. ბალშევიკები ჯავის ხეობის გადმოსახლებულ ოსებს ურიგებენ სახელმწიფოებრივ უფლებებს—რატომ ჩრდილო ოსეთის, ესე იგი ოსეთის ნამდვილ ტერიტორიაზე არ ახორციელებენ ამ თავის პროგრამას? იქ ხომ საქართველო აღარ ყავთ ხელის შემშლელი? ან ჩეჩნები, დაღესტნელები რატომ ვერ ღებულობენ დამოუკიდებლობას, ან კიდევ ყაზახები და სხვ.? რათ დაუყენეს მათ სათავეში ზევიდან დანიშნული კომისრები და წითელ არმიელთა სისხლიანი ხიშტებით ახშობენ მათ თავისუფლებას?

როცა გაზ. „კომუნისტი“, რომელიც თფილისში გამოდის, ასე ებლაუჭება ამ დიდ ლოზუნგს, ამავე დროს რათ ხდება, რომ კავკავის გაზ. „კომუნისტი“ რუსულ ენაზე, ძირითადათ უარყოფს ამ ლოზუნგს? იგი ამბობს: „რომ ბურჟუაზიული რევოლიუციის ხანაში 1917 წელს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი იყო მომენტის შესაფერი ლოზუნგი იმისთვის, რომ დაენგრია მეფისა და მემამულეთა სახელმწიფო, ძირი გამოეთხარათ მისი ცენტრალიზმისთვის და ასე დაესუსტებიათ იგი“.

ახლა კი, ცხადია, თავის კომუნისტურ ცენტრალიზმისთვის ძირის გამოთხრა არ სურთ.

ამ რიგათ ბალშევიკების ეს იდეა ბუშმენურ წესით ტარდება. იგი კარგია, როცა ამით სხვის სახელმწიფოს არღვევ. ცუდია, თუ იგი შენ სახელმწიფოს გირღვევს.

ახლა ყველასთვის ცხადია, თუ რა მიზანს ემსახურება თფილისელი „კომუნისტი“, როცა ჯავის ხეობაში უნდა შექმნას საბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკა და იმავე დროს მთავარი ოსეთისთვის თვითგამორკვევაზე სიტყვის თქმაც კი კონტრ-რევოლიუციონერობათ მიაჩნია.

დიახ, ცხადია, რომ ჯავის თვით-გამორკვევა არის საქართველოს დარღვევის ბოროტ-სურვილით წამოყენებული, ხოლო გაზეთის რწმუნება, რომ ჯავა არ ესაჭიროება საქართველოსო, და სხვა ლათაიები, მხოლოდ ფარისევლობაა ამ შავი განზრახვების დასაფარავათ მოყვანილი.

მაგრამ მათი ორმაგი, თვალთმაქცი პოლიტიკის კუდი კალთიდან მოსჩანს და ამხელს მათს აზრსა და მოქმედებას.

მაშ ასე, ბალშევიკები ორპირობენ. იდეურ ცუღლუტობას ეწევიან, რომ თავის აჯანყების წყურვილი ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ როგორმე მაღალ ფრაზების სამოსელში გახვიონ.

მაგრამ იქნება ჩვენთვის, დემოკრატიისთვის არის სავალდებულო, ოსთა თვითგამორკვევა ჯავის ხეობაში? ჩვენ ხომ მართლა მომხრე ვართ ეროვნულ თვითგამორკვევის, გავსინჯოთ ესეც.

ყოველ ერს აქვს უფლება თვით-გამორკვევის. ეს მართალია. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დაისვას საკითხი მთელი ერის, ანუ მისი დიდი უმრავლესობის შესახებ. ოსებს აქვთ უფლება თვითგამორკვევისა. ეს უდაოა. მაგრამ ყოველ ოსის სოფელს, ან თემს ასეთი უფლება არ აქვს.

საქართველო დამოუკიდებელია დღეს, მაგრამ მასში არ შედიან არც სოჭის ოლქის ქართველები, არც კავკავის, არც მინერალურ წყლების რაიონში მცხოვრებნი, რამდენადაც ისინი ადგილობრივი მკვიდრნი არიან. განა მათი ყოფნა იმ რაიონებში, შეიძლება გახდეს საბუთი კავკავისა და სოჭისაგან ქართულ სახელმწიფოს შექმნისა?

რასაკვირველია არა. ეს არც ბალშევიკებს მოსვლია თავში. ჩვენ, მით უმეტეს.

გორის მაზრაშიაც რამდენიმე სოფელი და ერთი-ორი თემი არის ოსებისგან შემდგარი. მაგრამ განა მათაც ისე არ უნდა ვუყუროთ როგორც ქართველთა კოლონიას ჩრდილო-კავკასიაში? ცხადია, ეს არის ის მცირე ნაწილი ერისა, რომელიც მეორე ერის ფარგლებში მოყოლია ხალხთა ნარევათ ცხოვრების გამო. ოსები არიან კახეთში, ალაზან გაღმა, არიან ატენის ხეობაში, არიან ტრიქსოს ხეობაში, ჯავაში, რაჭაში, საჩხერის მაზრაში, მაგრამ ესენი შეადგენენ რამდენიმე სოფელს, რომელიც საქართველოს უდავო ტერიტორიაში შედის. ამიტომ მათ ეროვნულ განცალკევებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. აქ შეიძლება საკითხის დასმა მხოლოდ მათი კულტურული განვითარების უზრუნველყოფაზე. არც მეტი არც ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით ისეთ დებულებას, როცა უმრავლესი ერი უნდა გახდეს მსხვერპლი უმცირესობის, რომელიც მის საზღვრებზე, ნარევათ ცხოვრობს და ამით მის ტერიტორიას აპრელებს.

სად გაგონილა, რომ რამდენიმე მილიონი მცხოვრებლები შეწიროდეს მსხვერპლათ რამდენიმე ათასეულს! ჯავის ხეობის დამოუკიდებლობა, კახეთის ოსების, და სხვა წვრილ ეროვნულ ნაშთების, იქნებოდა საქართველოს დარღვევა, მისი საზღვრების მოშლა და ადვილ დასაპყრობათ გადაქცევა. ბალშევიკებს რომ ეს სურთ, ჩვენთვის ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, მაგრამ როცა ისინი ამ იდუმალ ზრახვას ერთა თვითგამორკვევის იდეას ახვევენ თავზე, ეს იდეური შანტაჟია და მეტი არაფერი. თვითგამორკვევის უფლება სრულ დამოუკიდებლობამდე აქვთ ერებს, და არა ერთა მცირედ ნაშთებს, რომელნიც გადასახლებულან სხვა ეროვნების ფარგლებში. და არც ერთ სოციალისტს არ უქადაგნია აქამდე ყოველი სოფლის და თემის თვითგამორკვევა. არამედ აღიარებდენ თვითგამორკვევას მთელი ერის, როგორც ასეთის.

ოსეთის თვითგამორკვევა ამ პრიციპის მიხედვით უნდა მოხდეს ე. წ. ჩრდილო ოსეთში, სადაც ოსი ოთხმოცდა ათი პროცენტი ცხოვრობს და არა ჯავაში, სადაც სულ რამდენიმე სოფელია ოსის.

ეს გახლავთ სოციალისტური სიმართლე და არა ის, რასაც ბალშევიკები გაიძახიან მუხანათური მიზნით ყველას გასაგონათ, თვით გაზეთის ფურცლებზე.

ამ პრინციპს ვადგივართ ჩვენ, ქართველი სოციალდემოკრატები საერთაშორისო პროლეტარიატის დიდებულ მოძღვრებთან ერთათ.

ხოლო ბალშევიკების აჯანყების მართლებას—საკუთარ სახელს ვაძლევთ, ეს არის მოღალატეობა საერთაშორისო სოციალიზმის, ეს არის მოღალატეობა საქართველოს დემოკრატიის და მისი რესპუბლიკის.

## „კომუნისტის“ მკითხველებს

### III.

#### ისევ ფაქტები.

„კომუნისტისთვის“ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ სულ არ ამოეღო ხმა ჩემ საპასუხოთ. ზოგიერთ მის მკითხველს, შეიძლება, ეგონებოდა, რომ დიდი მოაზრე, დიდი საქმის მკეთებელი პარტია ვერ იცლის ისეთი პატარა საქმისთვის, როგორიც არის ვიღაც უმნიშვნელო მოპირდაპირესთან კამათი.

მე ვფიქრობდი, რომ გაზეთი თავისი თანამგრძნობელების და მიმდევრების საყურადღებოთ გამოამჟღავნებდა ჩემი ფაქტების სიყალბეს და ჩემი აზრების უსაფუძვლობას. „კომუნისტმა“ ათ ნომერში ვერ მოახერხა ვერც ერთი, ვერც მეორე.

მე ვამბობდი, რომ „საბჭოთა“ რუსეთში მენშევიკებს არ აქვთ ლეგალური არსებობის ნება, არა აქვთ ის, რაც მიეცათ ბალშევიკებს საქართველოშითქო. „კომუნისტმა“ მე ამაზე შემომწამა „ერთი ტყუილთაგანი“. გამოაცხადა, რომ რუსეთში მენშევიკებს ორგანიზაციაც აქვთ, გაზეთიცაო.

მე მოვიყვანე ჩემი თვალით ნახული ფაქტები „კომუნისტური ფაქტის“ დასარღვევათ. საბჭოთა რუსეთში მენშევიკური პარტია კანონს გარეშე იყო და არის, მის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ხნით წაერთვა და ჯერაც არ მიუღია გაზეთის გამოცემის ნება.

რა მოიყვანა „კომუნისტმა“ ჩემი „ერთი ტყუილთაგანის“ სამხილებლათ? არაფერი. აგერ უკანასკნელ ნომერში სამი სვეტი ამოუვსია ერთ მის თანამშრომელს. ერთი სტრიქონიც ვერ ვიპოვნე ამ დიდ წერილში ისეთი, რომელიც არსებითად ეხებოდეს საკითხს.

„კომუნისტს“ უნდა ეთქვა, სად არის სოციალისტური მუშაობა უკეთესად დაყენებული—აქ, თუ საბჭოთა რუსეთში, სადაა მიწის საკითხი გლეხობის სასარგებლოთ გადაჭრილი, სადაა ნამდვილი დიქტატურა მშრომელი ხალხის—აქ, თუ იქ?

ეს არ უთქვამს წერილის ავტორს, თუმცა ამისთვის საჭირო იყო ორიოდე სიტყვა. ავტორი აღარ უარყოფს იმ ფაქტს, რომელიც წინა დღეებში იქ „ერთ ტყუილთაგანათ იყო“ გამოცხადებული. აღარ ამტკიცებს, რომ ბალშევიკური მთავრობა ღია ასპარეზზე იდეური ბრძოლის საშუალებას არ უსპობდა თავის მოწინააღმდეგეებს.

გაზეთი ახლა ამბობს ამ წერილში, რომ იქ სდევნიდენ მშრომელი ხალხის მტრებს, აქ კი მისთვის თავდადებულ მებრძოლებს.

ვინ იყო „საბჭოთა“ რუსეთში ამისთანა მტერი—მენშევიკების პარტია თავისი ცენტრალური კომიტეტით? რატომ არ ამბობს პირდაპირ ამას „კომუნისტი“, თუ მართლა ასე ფიქრობს? ვინ იყო და ვინ არის აქ მშრომელი ხალხის მეგობარი, მისთვის მებრძოლი? ისინი, ვინც უგზო-უკვლო შეიარაღებულ გამოსვლებს აწყობდენ, ის ჯგუფი, რომელიც პირველ მაისს ასე სამარცხვინოთ გამოვიდა, ისინი, ვინც სამხედრო სასწავლებელს დაეცენ ყაჩაღებივით?

საქართველოს მშრომელი ხალხი იმდენათ შეუგნებელი არ არის, რომ ორი წლის განმავლობაში ვერ დაინახა თავისი მტერი და თავისი მოყვარე. ჰქონდა ამ ხალხს საშუალება, რომ გამოეჩინა თავისი დამოკიდებულება მთავრობასთან და მმართველ პარტიასთან. ამ ბოლო დროს იყო თფილისის მუშათა საბჭოს კრება, იყო პროფესიონალური კავშირების ყრილობა, არსად არ დაძრულა ხმა ბალშევიკების სასარგებლოთ. მე ვსწერდი, რომ მუშათა საბჭოს და სხვა მუშათა ორგანიზაციებს არავითარი უთანხმოება არ ქონებიათ საქართველოს დამფუძნებელ კრებასთან. „კომუნისტმა“ ერთი სიტყვაც ვერ სთქვა ამის შესახებ. აქაური მუშა-გლეხობა რომ მტრულათ უყურებდეს სოციალდემოკრატიულ მთავრობას, ის არ გამოვიდოდა გარეშე მტერთან საბრძოლველათ ასე ერთსულოვნათ, როგორც ახლა გამოვიდა. გამოამჟღავნოს „კომუნისტმა“ კიდევ „ერთი ჩემი ტყუილთაგანი“ და გვითხრას, სად უფრო გავრცელებული დეზერტირობა, ჯარისკაცებიდან გაქცევა—რუსეთის წითელ რაზმში, თუ საქართველოს დემოკრატიულ მხედრობაში. ნუ თუ ისე თვალახვეულია ჩვენი მშრომელი ხალხი, რომ თავგანწირულათ იცავს თავისი ინტერესების მოწინააღმდეგე წესწყობილებას?

„კომუნისტის“ უკანასკნელი წერილი გვითითებს „ბორბაში“ მოთავსებულ ერთ ჩემ წერილზე. იქ მე ვწერდი, სხვათა შორის, რომ რუსეთში მენშევიკების ერთი ნაწილი დენიკინის ჯარში მიდისთქო. სად არის აქ იდეური ბრძოლა, თუ ასეაო,—გაიძახის „კომუნისტის“ თანამშრომელი,—ბალშევიკურ მთავრობას ნება ჰქონდა, რომ არაჩვეულებრივი ზომები მიეღო ამ მენშევიკების წინააღმდეგო.

ის ნაწილი, რომელიც დენიკინს ეკედლებოდა, არ ეძებდა ლეგალური არსებობის უფლებას. ღია ასპარეზზე იდეური ბრძოლის ნებას ეძებდა უმრავლესობა მენშევიკური პარტიის, ეძებდა მისი ცენტრალური კომიტეტი. ეძებდა ამ უფლებას ის, ვინც წინააღმდეგი იყო ბალშევიკებთან შეიარაღებული ბრძოლის და ყოველთვის მხარს უჭერდა მათ დენიკინ-კოლჩაკთან ბრძოლაში. აი ამ ნაწილს მენშევიკებისას „საბჭოთა“ რუსეთში დღესაც არ აქვს ის ნება, რომელიც აქ მიეცათ ადგილობრივ ბალშევიკებს, თუმცა ესენი, როგორც გუშინწინდელი მოწინავიდან სჩანს, მხარს უჭერენ ჩვენ შეიარაღებულ მოწინააღმდეგეებს.

ხელახლა მოვითხოვ „კომუნისტისგან“ ფაქტიური იარაღით ჩემი „ტყუილების“ გასამხელათ გამოსვლას. ამის მეტი არა ეკითხება რა ჩემთან სალაპარაკოთ.

ჩემი მარქსისტობის ან სიდინჯის დაფასება არავისთვის არ არის საინტერესო. მარქსისტული მოწმობის ასაღებათ მე არ შევალ „კომუნისტის“ რედაქციაში. მოვთხოვ მხოლოდ ამ რედაქციას ისევ თავისი მკითხველების საყურადღებოთ: სად, როგორ და რომელი აზრი ან დებულება მარქსის და ენგელსის მოძღვრების მე გადავასხვაფერე, ან დავამახინჯე. დაანახვოს „კომუნისტმა“ მშრომელ ხალხს, რომ მეცნიერული სოციალიზმი ეთანხმება ბალშევიკების საქმიანობას, და არ ამართლებს ჩვენსას.

ან სულ აიღოს გაზეთმა ხელი კამათზე ან გვეკამათოს არსებითათ.

**ს. დევდარიანი.**

## გადატრიალება ზაქათლის მხარეში

ზაქათლის მხარეში მომხდარ გადატრიალების შესახებ შემდეგს გადმოგვცემენ:

7 მაისს ლაგოდეხში ჩვენი ძალა-უფლების წარმომადგენლებთან მოვიდა ზაქათლის მხარის მცხოვრებთა დელეგაცია, რომელშიაც შედიოდა 10 ლეკი და 1 თათარი (ერთი მათგანი იყო ქ. ზაქათლის გარნიზონის უფროსი). დელეგაციამ განაცხადა, რომ ზაქათლის მხრის მცხოვრებლებს გადაწყვეტილი აქვთ არ შემოუშვან ბალშევიკების ჯარები, რომლებიც უკვე კახში შემოვიდნენ და გვთხოვდნენ შეიარაღებულ ძალებით დახმარებას. მათ მიუგეს, რომ ადერბეიჯანის ბალშევიკურ მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგის გამორკვევამდე ეს ვერ მოხერხდება.

ივნისის 9 დილის 6 საათზე ერთ და იმავე დროს მოხდა გადატრიალება ზაქათალაში, კობახჩოში, ბელაქანში და სხ. ადგილებში. დაატუსაღეს ყველა ბალშევიკური კომისრები, რომლებიც თათარ-ლეკებისაგან შესდგებოდენ. კომისრები თვიურად იღებდენ 15—30 ათას მანეთამდე. გადატრიალების მოხდენისთანავე აჯანყებულებმა იარაღი აჰყარეს ყველას, ვინც ოსმალეთის მომხრე იყო და მართვა-გამგეობა სავსებით ხელში ჩაიგდეს საქართველოს ორიენტაციის მომხრეებმა.

10 ივნისს ზაქათლის მხრის წარმომადგენლები მეორეთ მოვიდენ ლაგოდეხში და გვთხოვეს ჩვენი შეიარაღებული ძალების შეყვანა.

ჩვენებმა კითხვა ასე დაუსვეს: ზაქათლის ოლქი ჯერ ჩვენი არ არის. თუ მცხოვრებლები აშკარად განაცხადებენ რომ ოლქი ჩვენია, მაშინ შეგვეძლება თანახმად მოსკოვთან დადებულ ხელშეკრულებისა, ბალშევიკების ჯარი ჩვენი ტერიტორიის, ზაქათლის ნაწილზე არ გავატაროთ; ადერბეიჯანის მთავრობა ამტკიცებს, ვითომ ოლქის მცხოვრებნი ჩვენი წინააღმდეგნი იყვნენ და თუ მცხოვრებნი საჯაროთ განაცხადებენ, რომ მათ საქართველოსთან შემოერთება სურთ და მხარეც საქართველოს ნაწილს შეადგენს, მაშინ შეგვეძლება დელეგაციის შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

ჩვენების ასეთი პასუხის შემდეგ მიგვიწვიეს ამისთვის მოწვეულ ყრილობაზე, რომელიც გაიმართა შელაქანში. ყრილობას დაესწრო ზაქათლის მხარის 1500-მდე წარმომადგენელი. ყრილობამ განაცხადა:

ადერბეიჯანმა გაგვყიდა, მთელი ჩვენი ქონება ბალშევიკებს ჩაუგდო ხელ-

# გენერალური შტაბის ცნობა

12 ივნისი.

ცხინვალის, ზოტის-ყელის და გოდერძს მიმართულებით 11 ივნისს დაზვერვა ხდებოდა.

დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

13 ივნისი.

12 ივნისს, 22 საათზე ჩვენმა დელეგაციამ ადერბეიჯანთან ზავს ხელი მოაწერა.

ცხინვალის მიმართულებით 12 ივნისს გათენებისას ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. მტერმა მთელ ფრონტზე უკან დაიხია. საღამოს ჩვენ ცხინვალსა და სოფ. ვანათის ჩრდილოეთით მყოფი ხიმაღლეები ავიღეთ. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვევლები და წამოვიყვანეთ ტყვეები. შეტევა გრძელდება.

დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

14 ივლისი.

13 ივნისს ცხინვალის მიმართულებით მტრის დევნა გრძელდებოდა.

დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

## ოფიციალური.

12 ივნისს საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის ზავი შეიკრა. საზავო ხელშეკრულება უნდა დაადასტუროს დამფუძნებელმა კრებამ 2 კვირის განმავლობაში. ხელშეკრულების ტექსტი უკვე გადაეცა დამფუძნებელ კრებას.

## საქართველოს დელეგაციის განცხადება.

საქართველოსა და ადერბეიჯანის საზავო დელეგაციების სხდომაზე საქართველოს დელეგაციამ სხვა განცხადებათა შორის შემდეგი განცხადება გააკეთა: 1) ამიერ-კავკასიის ცენტრში, თფილისში, საქართველოს რესპუბლიკის დედა ქალაქში, ამ უკანასკნელის მთავრობასთან გამოგზავნილი იყვნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ამ მისიებსვე ცალ-ცალკე პირთა სახით მინდობილი ჰქონდა წარმომადგენლობა თავისი მთავრობისა ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც—ადერბეიჯანსა და სომხეთში. აღნიშნულ სახელმწიფოთა ზოგი წარმომადგენელნი, როგორც მაგ. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და პოლონეთის, რომელნიც წარმოგზავნილი იყვნენ საქართველოს მთავრობასთან და გადატრიალების დრო ბაქოში მოხვდნენ, ადერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობის განკარგულებით დაკავებულნი არიან. სთვლის რა იმ პირთა დატყვევებას, რომელნიც საქართველოს მთავრობასთან იყვნენ წარმოგზავნილნი, რესპუბლიკის სუვერენულ უფლებების წინააღმდეგ გალაშქრებათ, საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ ადერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკა არ დააყოვნებს შეცდომის გასწორებას და სათანადო განკარგულებას გასცემს ზემოაღნიშნულ პირთა განსათავისუფლებლათ. 2) ადერბეიჯანის ს. სოც. რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის შესაკრავ ზავის გამო საქართველოს დელეგაცია თავის ვალდებულებად სთვლის თავის ხალხისა და მეზობელ რესპუბლიკათა წინაშე შემდეგი განაცხადოს: ადერბეიჯანსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ხალხის მშვიდობიანი და ნორმალური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ამიერ-კავკასიის სრული მშვიდობიანობის დროს. არ შედის რა იმის გარჩევაში, თუ რომელი მხარეა აგრესიული, საქართველოს დელეგაცია რჩება რა მუდამ ერთგული თავისი მუდმივი მშვიდობიანობის მოყვარულ პოლიტიკისა აცხადებს ყველა აუცილებელ საჭიროებად მშვიდობიან გადაჭრას ყველა კონფლიქტისას, რომელიც ადერბეიჯანსა, სომხეთსა და საქართველოს შორის მოხდება: კონფლიქტების მშვიდობიანათ გადაჭრა მოხდება ან საერთო და ან სეპარატიულ კონფერენციების საშუალებით. ადერბეიჯანსა და სომხეთის შორის არსებულ სადავო საკითხების გადაჭრა იარაღით ემუქრება საერთო ზავს, ამიერ-კავკასიის წონასწორობას და მას შეუძლია შეარყიოს ის დებულებანი, რომლებიც საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის დაიდო. რესპუბლიკის მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ ადერბეიჯანის საბჭოთა სოც. მთავრობა თავის მხრივ ყოველგვარ ღონეს იხმარებს სომხეთ-ადერბეიჯანის სადავო საკითხთა მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტათ.

---

-ში და ჩვენ ასეთ მთავრობას არ ვცნობოთო; ჩვენი მიწა-წყალი მიგვაჩნია საქართველოს განუყოფელ ნაწილათ.

ყრილობის დასრულების შემდეგ ჩვენი წარმომადგენლები მიიწვიეს ზაქათალაში, საიდანაც აშკარათ დავინახეთ და გვესმოდა, რომ ბოლშევიკების ჯარის მე-38 ცხენოსანთა დივიზია 6 ზარბაზნიდან უშენდა სოფ. გიულიუკს, რომელიც ქ. ზაქათალიდან სულ 15 ვერსის მანძილზეა დაშორებული. 10 ივნისის დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე განუწყვეტლივ უშენდენ ზარბაზნებს. ზაქათალის მცხოვრებლებმა ჩვენ საზღვარზე მდგომი შეიარაღებული ძალები მოხსნეს და ვისაც კი იარაღის ტარების უნარი ჰქონდა ქ. ზაქათალის დასაცავად გაეშურენ.

ჩვენ წარმომადგენლებს უკან დაბრუნებისას გზაში აჰერებდნენ ზაქათალის მცხოვრები ლეკები, ქალი და კაცი, რომელნიც სთხოვდნენ, რომ ჩვენი ჯარი იმ დღესვე შესულიყო ქალაქში.

ზაქათალის მცხოვრებთა ერთად ერთი იმედი არის საქართველოს მთავრობა.

გადატრიალება ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოიწვია უმთავრესად იმ გარემოებამ, რომ 28 მაისს, როცა ბოლშევიკებმა ზაქათალიდან ყველა თავისი ჯარები გაიწვიეს განჯის ამბოხების ჩასაქრობად, მიმავალმა ჯარმა მცხოვრებლებს მთელი ქონება წაართვა და თან წაიღო, როგორც სურსათ-სანოვაგე, ისე ავეჯეულობა და სხვ. ამასთანავე უკანასკნელ დროს ბოლშევიკებმა დაიწყეს ლეკების ქალების გაუპატიურება. ყველა ამან ხალხს მოთმინება წაართვა და ხალხიც აჯანყდა.

10 ივნისს, ღამის 2 საათზე, როცა ჩვენი წარმომადგენლები ბრუნდებოდნენ სოფ. გიულკიდან უკვე მოდიოდნენ ლტოლვილები.

ამჟამად კანში მდგომი მე 38 დივიზია ალყა შემორტყმულია. თავიდანვე ლეკების ჩვენდამი დამოკიდებულება ლოიალური იყო.

ოლქში 23,000 ლეკია, 14 ათასი ინგილო და 11 ათასი თათარი. ლეკები და ინგილოები ყოველთვის ჩვენთან კარგ განწყობილებაში იყვნენ, ჩვენდამი მტრული განწყობილება ეტყობოდათ მხოლოდ თათრებს, მაგრამ განჯის ამბების გაცლენით ამათაც ეხლა მხოლოდ ჩვენი იმედი აქვთ.

აჯანყებულთ საკმაოდ მოეპოვებათ სურსათი, თოფები და ტყვიები.

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**საიდან რას მოელის მოსკოვი?** შუშის და ფარფორის წარმოებათა მუშების ყრილობაზე ლენინმა სხვათა შორის განაცხადა: „გუშინ ბაქოდან მიღებული ცნობა გვეუბნება, რომ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა გაუმჯობესდება. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი წარმოება გაჩერებულია სათბობი მასალის უქონლობით და აი, ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ბაქოს პროლეტარიატს ჩამოუგდია ადერბეიჯანის მთავრობა და თვითი ჩაუგდია ხელში ძალა-უფლება. ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი ეკონომიური დასაყრდენი, რომელსაც შეუძლია მთელი ჩვენი წარმოების გამოცოცხლება. ბაქოში ამ ჟამად ნავთი მილიონობითაა, რომელსაც დღემდე გასავალი არ ჰქონია. ამიტომ ნავთის მწარმოებელ ნობელსაც კი ჰქონდა ჩვენთან მოლაპარაკება ნავთის საბჭოთა რუსეთში შემოტანის შესახებ. ამ სახით ჩვენი ტრანსპორტი და მრეწველობა ბაქოდან მიიღებს საჭირო დახმარებას. დღესვე სასურსათო საქმის სახალხო კომისარმა ამხ. პურიუცმა მაცნობა, რომ ყუბანის ოლქში და კავკასიაში ბლომათ არის პური, რის მოზიდვის იმედი ჩვენ გვაქვს. ასე რომ, ჩვენ გვექნება სათბობი მასალა მრეწველობისათვის და პური ხალხის გამოსაკვებათ. მოვახმართ რა მთელს ჩვენს ძალ-ღონეს ტრანსპორტის აღდგენას, ჩვენ გვექნება ნავთი და პური, რაც სალი ეკონომიური საფუძველი იქნება გლეხობისა და მუშების ურთიერთ დამოკიდებულობის საქმეში. ჩვენ ვამბობთ, რომ გლეხობამ თავისი ზედმეტი პური უნდა მისცეს მუშებს, ვინაიდან დღევანდელ მდგომარეობაში ამ პურის გაყიდვა დანაშაულობა იქნებოდა. როგორც კი ჩვენ ფეხზე დავაყენებთ მრეწველობას ყოველგვარ ზომებს მივმართავთ, რომ გლეხთა მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ ფაბრიკული ნაწარმოებით. („პრავდა“ № 92).

ნავთის და პურის საბჭოთა რუსეთის ცენტრი მოელის ბაქოდან და ყუბანიდან, თუთუნს კი—ყირიმიდან. „ეკონ. ჟიზ.“ მე 96 ნომერი ეხება თამბაქოს წარმოებას პეტროგრადში, აღნიშნავს, თუ როგორ დაცემულა ეს წარმოება ნედლი მასალის უქონლობით და წერილს ასე ათავებს: „როსტოვის რაიონის საბჭოთა რუსეთთან შეერთება და აგრეთვე ახლო მომავალში მოსალოდნელი გაწმენდა ყირიმისა თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან, სადაც ფოთლოვანი თუთუნის დიდძალი „ზაპასი“ მოიპოვება, ხელს შეგვიწყობს გადავიტანოთ კრიზისი თამბაქოს წარმოებაშიაც“.

**ქაღალდის წარმოება.** 17-დან 23 აპრილამდე სახელმწიფო ქაღალდის ქარხნებს დაუმზადებია 16,526 ფუთი საგაზეთო ქაღალდი. („ეკ. ჟიზ.“ № 96).

**სათბობი მასალის** უქონლობის გამო პეტროგრადის ეკონომიურ სამრეწველოში დაწყსდა ორის ნაცვლად მუშაობის ერთი „სმენა“. („ეკ. ჟ.“)

**შრომის დისციპლინა.** ფსკოვი, 23 აპრილი; „მეტალისტის“ ქარხნის მუშებმა დაადგინეს: იმ მუშებს, რომლებიც არ გამოცხადდებიან სამუშაოზე ერთი დღე-ნახევრის განმავლობაში არა საპატიო მიზეზით, მოესპოთ სასურსათო უფლება ერთი თვით. ნახევარი საათით დაგვიანება ჩაეთვლება ერთი დღის ნაცდურათ. სამჯერ დაგვიანების გამო წაერთმევა სასურსათო ულუფით სარგებლობა 1 თვით. *) („პრავდა“ № 96)

**ყალბი ცნობისთვის.** „ჩრეზვიჩაიკის“ საგანგებო განყოფილებას ებრძანა პეტროგრადის „როსტის“ თანამშრომლის ფიდემანის შეპყრობა, რომელმაც „როსტას“ გადასცა შემოწმებული და ცრუ ცნობა ამერიკიდან 5 ათასი ორთქლმავალის მიღების შესახებ („პრავდა“).

ეს ერთი სიცრუისათვის. სხვა, მრავალი სიცრუისათვის, რომელიც „პრავდა“-ში იბეჭდება, არავის სჯიან!..

**წითელი საჩუქარი მოსკოვს.** ამ დღეებში 1 არმიის არტილერიის ნაწილების და ორენბურგის გამაგრებული რაიონის წარმომადგენლებმა ამხ. რიბინის საჩუქრად მოუტანა მოსკოვის პროლეტარიატს შემდეგი სურსათი: 122 ტომარა ხორბალი, წონით 495 ფ. 36 გირ., 1 ტომარა შავი პურის ფქვილი—3 ფ. 26 გ., 1 ტომარა მუხუდო—1 ფ, 5 ტომარა „ფშენო“—21 ფ. 35 გირ., 8 ტომარა „სუხარი“—10 ფ. 15 გ., და 8 ტომარა გამომცხვარი პური—12 ფ. 20 გირ. ეს სურსათი გადაეცა გასანაწილებლად მოსკოვის მუშებს შორის მპო—ს. ამ საჩუქარს თან ახლდა წერილი, სადაც იტყობინებიან, რომ ორენბურგის გამაგრებული რაიონის უფროსის ინიციატივით დაარსებულია „ბაზა“, სადაც არტილერისტები შეაგროვებენ შემოწირულებებს და გაუგზავნიან ცენტრში მცხოვრებ დამშეულ პროლეტარიატსო. („პრავდა“).

**უკრაინის კომუნისტური ორგანიზაცია**, არსებული მოსკოვის რ. კ. პ. კომიტეტთან (ბოლშევიკებისა), უქმდება. ხსენებული ორგანიზაციის ყველა წევრები მექანიკურათ გადადიან მოსკოვის რ. კ. პ. (ბოლშევიკების) ორგანიზაციაში იმის მიხედვით, რომელ რაიონშიაც ცხოვრობენ. უკრაინის კომუნისტური ორგანიზაციის მიერ მიცემული საწევრო ბარათები უნდა გამოცვლილ იქნას მოსკოვის რ. კ. პ. კომიტეტში („პრავდა“).

ერთი სიტყვით, დამოუკიდებელი უკრაინა განიდევნა საბჭოთა რუსეთიდან!..

**ფოსტის ყუთი.** ამხ. მ. კაცენელენბოგენს, მოსკოვი. რასაკვირველია, სუხარევკა ჩვენი უბედურებაა, მაგრამ როგორც ავადმყოფობა **განაწილებისა** ის მეორე რიგში შეიძლება მოვაქციოთ **წარმოებასთან** შედარებით. მთელი ძალღონე უნდა შემოვიკრიბოთ წარმოების გარშემო და სუხარევკა გაქრება, ვით კვამლი *).

ამხ. კურსანტს. კ. მახლოვს, მოსკოვი—ლაპარაკიც არ არის საჭირო იმის შესახებ, რომ ცნობა, გაგება ყველაფერისა საჭიროა და არა მარტო კულტურულ-განმანათლებელ სფეროში; მაგრამ სიცივე და სიმშილი ასჯერ უარესია და ამიტომ ესენი უნდა იქნან დაძლეული. ამიტომ—ტრანსპორტისკენ! სურსათისკენ! სათბობი მასალისკენ! აი რას გვეუბნება ცხოვრება.

**„მეტის მეტად მორწმუნენი“.** მოსკოვ-ყაზანის რკინის გზების ორთქლმავალის შემკეთებელ დეპოს მუშებმა დაადგინეს 16 აპრილის საზოგადო კრებაზე: „ხატი დროებით მოათავსონ ეკლესიაში, ვიდრე საკუთარი „ჩასოვნია“ აშენდებოდეს“. (ერთი ხატისათვის საკუთარი „ჩასოვნია“ უნდათ ააგონ!) თავიანთი დადგენილებით ორთქლმავალზე მომუშავე მუშებმა დაამტკიცეს, რომ ისინი მორწმუნენი არიან და იმავე კრებაზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ შეაკეთებენ სამარშრუტო მატარებლების ორთქლმავალებს, მხოლოდ ამის სამაგიეროთ უნდა მიეცეთ თვიურ რაციონის გარდა 25 გირ. პური ან ფქვილი თითო მუშას, 18 გირ. კი ოჯახის წევრზე თვეში. რასაკვირველია, ეს დადგენილება არ იქნებოდა ერთხმად მიღებული, რადგანაც ამ მუშებში ბევრი „ურწმუნონიც“ ურევიან. (საზოგადო ნორმა პურისა ამ რკინის გზაზე შემდეგი იყო: თებერვალში მიეცათ 10 გირ. მუშაზე, ოჯახის წევრზე კი 5 გირ. თვეში, მარტში 15 და 8 გირ. აპრილში 25 გირ. და 16.

თავდაცვითი საბჭოს დადგენილების თანახმად ის რკინის გზელები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამარშრუტო მატარებლების შეკეთების საქმეში, ზემო აღნიშნულ ნორმის გარდა იღებენ 10 გირ. მეტს, როგორც მუშაობის კომპენსაციას. დარჩენილი სურსათი ეძლევათ მოსკოვის რკინის გზების დანარჩენ მოსამსახურეებს. მაგრამ ეს არ ესმით ორთქლმავალის შემკეთებელთ. მათის აზრით გამოკვება ესაჭიროება მხოლოდ მარკოვ-ყაზანის რკინის გზის მუშებს. მათ სხვა მუშების მდგომარეობა არ აინტერესებთ. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ იმის შეჭმას, რასაც მარშრუტიანი მატარებლები მოიტანენ, პური უნდა შენახულ იქნას ამავე მუშებისათვის. მათის დადგენილებით ეს გადარჩენილი სურსათი უნდა ინახებოდეს მოსკოვის ლიანდაგების მომარაგების განყოფილების საწყობებში. სამწუხაროა, რომ „პარავოზნიკებმა“ არ დაადგინეს საკუთარი შენობის აგება სურსათის შესანახათ ისევე, როგორც დაადგინეს „ჩასოვნიას“ აგება ერთი ხატის მოსათავსებლათ. აი ნამდვილი სარწმუნოება. „ჩვენი ხატია და არა სხვისი ღ- ამიტომ, მართალია, ეკლესია გვერდით არის აშენებული, მაგრამ მაინც ავაშენებთ საკუთარ „ჩასოვნიას“ ჩვენ მატარებლებს მოაქვთ პური დეე, ჩვენს გვერდზე მყოფნი შიმშილით ამოწყდენ, ჩვენ მაინც საკუთრად ჩვენთვის უნდა შევინახოთ ზედმეტი პური, სხვისი ჭირი არაფრად არ მიგვაჩნია, ჩვენ მეტის მეტად მორწმუნენი ვართ და განა შეგვფერის სხვაზე ზრუნვა. ამხანაგებო, ყოველივე ეს ზემოხსენებული ნათლად გვიმტკიცებს, რომ ის ხალხი, რომელიც სარწმუნოებას ატარებს, ქვეყანა გრძნობებით მოქმედებს და ამისათვის საჭიროა ნიღაბები ჩამოვხსნათ და დავანახოთ ხალხს მათი ნამდვილი სახე. („პრავდა“ № 99)

**წერილი ურალსკიდან.** ქალაქი მდებარეობს აზიის საზღვარზე. ყაზახები და ყირგიზები მთელ მხარეს აზიურ ელფერს აძლევენ. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა მომუშავენი თავს გრძნობენ უცვლელ ბატონ-პატრონათ და მათში მაგრათ აქვს ფესვები გამდგარი კარიერიზმს. პარტიული მასსა შეშინებულია რეპრესიებით, საზოგადო კრებებზე ხალხი გაჩუმებულია და ხმის მიცემის დროს ძალა-უფლების მქონეთ უჭერენ მხარს. გული მწუხარებით ევსება ადამიანს, როდესაც ხედავს, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა გასახარებლათ ასეთი უნიჭო ადმინისტრატორები მოქმედებენ.

მოვიყვან ორ მაგალითს. აი ლეონიდე გარუნოვი მანჭია ადამიანი, რომელიც აცხადებს მუშის შვილი. როდესაც ის იყო სარატოვში, მას უპირებდენ კომუნისტების პარტიიდან გაძევებას, როგორც პირმოთნე ადამიანს, რომელიც ათავსებდა არა კომუნისტურ წერილებსაც გაზეთებში, მას დანაშაული აპატიეს და აქ კი დიდ დიდებაში არის. აი მელამედი. ოპოზიციონერებისათვის მას დაემუქრენ 24 საათის განმავლობაში გადასახლებით. დადუმდა და კარიერა გაიკეთა. სახალხო განათლების საქმეს ჩაუდგა სათავეში. გაითქვა სახელი კლასიურ ლიტერატურის რევოლიუციონურ ყაიდაზე გადაკეთების გეგმით. ასეთი ხალხი აქ ბევრია. ისინი რედაქციას და მის თანამშრომლებს, რომლებიც ბედავენ ბეირ მათ სამძრო საქმეების მხილებას, სდევნიან რეაქციას ერთი შენობიდან მეორეში ასახლებენ. სხვა ბევრ ამისთანა დასამცირებელ ფაქტებს აქვს ადგილი. ასახლებენ ლიტერატორებს და ამას არ აკმარებენ. დასცინიან და ამცირებენ ყოველი მხრივ. გაზეთ „იაიცკის პრავდაში“ თავიანთ დასცეს, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ ილაშქრებენ. აი ასეთ ხალხთან უხდება ცხოვრება და მუშაობა ურალის მუშაკთ. („პრავდა“ № 91).

*) ასე „ერთსულოვნად“ მუშაობენ მუშები ზედმეტ საათებს საბჭოთა რუსეთში!

*) სუხარევკის სპეკულიაცია, როგორც ხედავთ, ბოლშევიკებს ჯერ კიდევ ვერ მოუსპიათ.

# საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

13 ივნისს ნაძალადევის მუშათა კლუბში გაიხსნა პარტიული ყრილობა. ყრილობაზე ჯერ-ჯერობით გამოცხადდა 125 დელეგატი. ყრილობას დიდძალი არა-დელეგატი პარტიის წევრები დაესწრო. ყრილობა ცენტრალური კომიტეტის სახელით გახსნა ამხ. ნ. ჟორდანიამ, რომლის გამოსვლას ყრილობა მხურვალე ტაშით შეხვდა. მან ყრილობას შემდეგი სიტყვით მიმართა: ამხანაგებო! საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობას ცენტრალური კომიტეტის სახელით გახსნილად ვაცხადებ (მუშების გუნდი მღერის ინტერნაციონალს, რასაც ყრილობა ტაშით ფარავს).

ამხანაგებო! ჩვენი უკანასკნელი ყრილობა მოხდა შარშან, 1918 წელს, ნოემბრის თვეში. მას შემდეგ, როგორც ხედავთ, განვლო გვარიანმა დიდმა დრომ. ჩვენი წესდების ძალით ყრილობა უნდა მოწვეულიყო უფრო ადრე, მაგრამ თუ ამ ყრილობის მოწვევა დაგვიანდა, ამის მიზეზი არის არა ცენტრალური კომიტეტი, არა პარტიული ორგანიზაციები, არა პარტია, არამედ სრულებით ამათ გარეშე მდებარე ობიექტიური პირობები. თქვენ იცით, რომ ამ ხნის განმავლობაში პარტიას უხდებოდა მეტად მძიმე და ინტენსიური მუშაობა პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ფარგლებში.

თქვენ იცით, რომ მთელი პარტია, ყველა ჩვენი ორგანიზაციები იყვნენ ჩაფლულნი ამ სახელმწიფოებრივ მუშაობაში, და თუ დღეს არსებობს რესპუბლიკა იმ სახით, როგორითაც ახლა არის, და თუ ამდენ ხანს არ დავინგრეთ, ამას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი პარტიის თავგამოდებითი მუშაობას. მართალია, არც დღეს ვართ დაღხინებული სრულიად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დღეს უფრო მშვიდობიანად შეგვიძლია ვიმუშაოთ, ვიდრე ერთი კვირის, ერთი თვის წინეთ. ზავი, რომელიც ჩვენ დავდევით რუსეთთან ამ ერთი თვის წინეთ და ის ზავი, რომელიც წუხელის დავდევით ადერბეიჯანთან, მოგვცემს საშუალებას, რომ ცოტა ხნით მაინც სული მოვიბრუნოთ და გულდამშვიდებით ვიმუშაოთ (ტაში). პარტიამ ამ ხნის განმავლობაში განვლო ბევრნაირი ბრძოლის ეტაპები. 1919 წელს, მას შემდეგ, რაც ეს ყრილობა მოხდა და თქვენ დაიშალეთ, აქ ჩვენ უპირველეს ყოვლისა, მოგვიხდა ბრძოლა თვით პარტიის არსებობისათვის. ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე ამხანაგი მოწინააღმდეგე ჩვენი დამოუკიდებლობისა, ამხედრდენ მაშინვე საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის დაარსების წინააღმდეგ და ამ ნიადაგზე მოგვიხდა ჩვენ დიდი შეტაკება. ჩვენ ამავე დროს შიშში ვიყავით რომ თფილისის ორგანიზაციებში არ მომხდარიყო რასკოლი. მაგრამ მართალმა პრინციპმა და სწორმა გზამ თავისი გაიტანა და ჩვენი მოწინააღმდეგენი სასტიკად დამარცხდენ.

ამნაირად ბრძოლა ჩვენი პარტიის არსებობისათვის სრულიად ჩვენი პარტიის სასარგებლოდ გათავდა. და მას შემდეგ, როცა ყოველნაირი ორგანიზაციები, კომისიები,—(ეს იყო თფილისში) მას შემდეგ, რაც აქაური რაიონები დადგენ ამ ახლად დაარსებულ პარტიულ ნიადაგზე, მას შემდეგ შევძლო უფრო თამამათ და თავისუფლად გვემუშავა პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ნიადაგზე. არასოდეს არც ერთ პარტიას, მით უმეტეს სოც. პარტიას არ რგებია ისეთი როლი, როგორიც ერგო ჩვენ სოც.-დემოკრატიას.

მას ერგო როლი არა თუ მარტო დაენგრია ძველი წეს-წყობილება, ამასთანავე ერგო როლი აეშენებინა ახალი სახელმწიფო ახალ ფარგლებში და მის შიგნით გაეტარებინა თავისი პროგრამული და ტაქტიკური შეხედულებები.

და ყველა ის რეზოლიუციები, რომელიც ჩვენ აქ გამოვიტანეთ პირველ ყრილობაზე, სწორედ ეხებოდა ამ ჩვენ პროგრამულ და ტაქტიკურ კითხვებს. და პარტიამ აიღო თავის თავზე, რომ ეს მუშაობა ყოფილიყო სახელმწიფოში სწორედ თანახმად ამ პოზიციისა. უნდა ვთქვა, რომ ჩვენმა პარტიამ აი ეს მუშაობა შეასრულა დღემდის პირნათლად. ამის მიზეზი ორი გარემოება იყო. ერთი ის, რომ გვქონდა ნათელი და აშკარა წარმოდგენა იმ კითხვებზე, რომლებიც ჩვენ ცხოვრებაში ტრიალებდენ და დღესაც ტრიალებენ. თქვენ მიერ მიღებული რეზოლიუციები ხატავდენ ნამდვილ ტენდენციას ჩვენი ცხოვრებისას და ჩვენი აზრით სავსებით ეგუებოდნენ იმას, რაც ხდებოდა ჩვენში და რაც აუცილებლათ უნდა მომხდარიყო. მეორე მიზეზი იმისა, რომ შევძლით ასეთი მუშაობა გვეწარმოებინა, არის ის, რომ ჩვენი პარტია იყო და არის მთლიანი პარტია. არ არის ჩვენში განხეთქილება, არ არის ბრძოლა წრეების და ჯგუფების შორის და აი, მე ვამბობ, რომ ამ ერთად დგომამ, ერთი გზით სიარულმა მოგვცა ჩვენ ეს დიადი ძალა, რომელიც გამოვიყენეთ ჩვენ ამ დიდი სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მუშაობისთვის. ამიტომ ვუსურვებ მე ამ ყრილობასაც, რომ ეს ძველი ჩვენი ნაცადი გზა არ დაეგმოს და ამანაც ისეთივე სწორი და ნათელი რეზოლიუციები გამოიტანოს, როგორიც გამოიტანა პირველმა ყრილობამ და ერთი გზით, ისეთივე მთლიანი აზრით გამსჭვალულნი გამოვიდეთ აქედან, როგორც პირველ ყრილობიდან გამოვედით.

გაუმარჯოს საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიას!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს! (ტაში) (მუშების გუნდი მარსელიოზას მღერის)

ახლა ვთხოვ ყრილობას აირჩიოს პრეზიდიუმი, ე. ი. თავმჯდომარე, მისი ამხანაგები და მდივნები გთხოვთ დაასახელოთ.

თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ალ. ლომთათიძე, მის ამხანაგებათ ხმის უმრავლესობით: ს. დევდარიანი და ბ. თევზაია. მდივნებათ: გრ. ურატაძე, ვ. ხუროძე და გ. ბახტაძე.

**ალ. ლომთათიძე** იკავებს თავმჯდომარის ალაგს და მადლობას უძღვნის რა ყრილობას ნდობისათვის, ამბობს: ვუსურვებ ყრილობას იმ მძიმე მომენტში, რომელშიაც მას უხდება მუშაობა, პირნათლად შეესრულებინოს პარტიის დავალება. თუ რაიმე გაუგებრობას ან დავას აქვს ადგილი ჩვენს პარტიაში, მე დარწმუნებული ვარ, გაფანტული და გამორკვეული იქნება. ყრილობა ნაყოფიერად დაასრულებს რა თავის მუშაობას, დაუბრუნდება თავის ძველ ნაცადს და სახელოვან გზას მუშათა კლასისა დემოკრატიულ ქვეყნის საკეთილდღეოთ და ასაყვავებლათ.

საპატიო თავმჯდომარეებათ ყრილობამ ერთხმად აირჩია: კ. კაუცკი, ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, ი. წერეთელი, ის. რამიშვილი, ნ. რამიშვილი.

**თავმჯდომარე:** ამხანაგებო, ამ დღეებში მეორე წლის თავი იყო დიდიდან გარდაცვალებისა საერთაშორისო სოც. დემოკრატიის საუკეთესო ბურჯთაგანის ამხანაგი გ. პლეხანოვისა. მისი სახელი უკვდავი არის საერთაშორისო პროლეტარიატში, მისმა სახელმა უკვდავი ძეგლი დაიდგა საქართველოს მუშათა კლასში. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მის ხსოვნას. (ყრილობა ფეხზე დგება).

შემდეგ ყრილობა ზოგიერთი ცვლილებებით ამტკიცებს ცენტრალურ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ დღის წეს-რიგს: ცვლილებები შემდეგია: წესრიგიდან ამოიშალა მოხსენება მომენტის შესახებ, საკითხს პარტიულ მუშაობის შესახებ მიემატა საკითხი: დამოკიდებულება პარტიას და სახელმწიფოს შორის. საორგანიზაციო საკითხში კი შეტანილ იქნა საკითხები: ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის და პარტიის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

შემდეგ ხმის უმრავლესობით სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნენ: კ. ნინიძე, ან. ანჯაფარიძე, დ. ლორთქიფანიძე, ს. წეროძე და გ. დუნდუა.

შემდეგ წაკითხულ იქნა შემდეგი მისალმების დეპეშები:

**სალოდლი.** ფრონტზე მყოფი მე 7-ე ქვეითა რაზმის სოც.-დემოკრატი ჯარისკაცები გილოცავთ პარტიულ ყრილობის გახსნას და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ დემოკრატიულ სამშობლოს, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრებისაგან.

მონდობილობით ჯარისკაცები: **არტემ ჩიჩუა, თედო სალუაძე, დავით ღლონტი.**

**სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.** გულწრფელ სალამს უძღვნის საქართველოს-დემოკრატიული რესპუბლიკის, სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის მეორე ყრილობას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას. მთავარი შტაბი ღრმეს სალამს უძღვნის სოციალ-დემოკრატიას, რომლის წიაღიდანაც გამოვიდა ასი და ათასი სახელოვანი სახალხო გვარდიელი, მტკიცე რწმენით და გაკაჟებული მკლავით, რომ მხოლოდ დემოკრატიის გაძლიერებით ჩვენ შევძლებთ შევიდეთ აღთქმის ქვეყანაში—სოციალიზმში. სახალხო გვარდია არ დაუშვებს კლასთა ბრძოლის ემბლემას, წითელ დროშას, რომელიც ააფრიალა საქართველოს პროლეტარიატმა და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ თქვენთან ერთად შესძლებს დაიცვას მისი სისპეტაკე.

მთავარ შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი **დ. საღირაშვილი.**

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 ივნისი.

## ბოლშევიკების ცნობები.

### სამხედრო ცნობა.

კიევის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მტერს უკან შემოუარეს და კიევ-კოროსტენის რკ. გზა დაიკავეს. ბერდიანსკ-ტეტერევის ნაწილში ჩვენი ჯარები დნეპრზე ბრძოლით გადასვლის შემდეგ კიევში შედიან. ვასილკოვთან ჩვენ მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგე ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით გარბის და „ობოზებს“ სტოვებს. ყირიმის მიმართულებით შევაჩერეთ ვრანგელის ჯარის შემოტევა.

### კომუნისტების მობილიზაცია.

ეკატერინოსლავი. იან. [illegible] ეკატერინოსლავის საბჭომ დაადგინა მობილიზაცია მოახდინოს საბჭოს წევრთა ერთი მეხუთედისა პოლონეთის ფრონტზე გასაგზავნად. მობილიზაცია ხდება აგრეთვე მთელ გუბერნიაში.

## ფრანგული ცნობები:

### სენეგალის ჯარი აღმოსავლეთში.

გენერალ გუროს თხოვნით სენეგალის ჯარის ბრიგადა აღმოსავლეთში გაგზავნეს.

### კრასინთან მოლაპარაკების გარშემო.

უმაღლესი საბჭო ამზადებს კითხვების ფურცელს, რომელსაც გადასცემენ კრასინს მანამდის, სანამ მას მოუსმენენ.

### ახალი კაბინეთი.

იტალიის მეფემ დაავალა ჯიოლიტს ახალი კაბინეტის შედგენა.

### რენნერის გადადგომა.

ავსტრიის ეროვნულ ყრილობაში უკანასკნელი კამათის შემდეგ კანცლერი რენნერი და კაბინეტი გადადგა.

### ელჩთა კონფერენცია.

ელჩთა კონფერენცია პარასკევს შესდგება. კონფერენციამ განიხილა პროექტი კოლექტიური ნოტისა გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების 264—267 მუხლის დარღვევის გამო, რომელიც კომერციულ თანასწორობას გულისხმობს.

### ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების გარშემო.

პარასკევს, ვენიზელოსი იტალიიდან ჩამოვიდა პარიზში, რათა ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას დაესწროს.

### გერმანიაში.

კანცლერ მიულერისა და დამოუკიდებელთა ლიდერის კრისპინის მიერ დაწყებულმა მოლაპარაკებამ არავითარ შედეგებს არ მიაღწია.

### ვინ შევა ჯიოლიტის კაბინეტში.

იტალიის გაზეთების ინფორმაცია ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჯიოლიტი შეადგენს სამინისტროს, რომელშიც უმეტეს ნაწილათ ისეთი ელემენტები შევლენ, რომლებიც მოკავშირეთა მხარეზე ომში ჩარევის მომხრენი არიან.

### პოლონეთის გეგმები.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: პოლონელები ემზადებიან ბოლშევიკების წინააღმდეგ ახალ შესატევათ. სრულიად უკუგდებულია კიევიდან და ოდესიდან გასვლის გეგმა. მარშალ პილსუდსკის გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ შეარყიოს ტროცკისა და ლენინის მთავრობის საფუძველები წითელი ჯარის დამარცხებით და შემდეგ მიმართოს ინგლისს თხოვნით, რათა მან შუამდგომლობა გასწიოს მოსკოვსა და პოლონეთს შორის ზავის ჩამოსაგდებათ იმ პირობით, რომ ამ ზავის პირობები სასარგებლო იქნეს პოლონეთისა და უკრაინისათვის.

### მ ა ნ დ ა ტ ე ბ ი.

მილიერანმა დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ მანდატი მთელ სირიაზე სასურველი არ არის, რადგან სირიის მცირე ნაწილი აინტერესებს საფრანგეთს (დამახინჯებულია). ევროპას სურს, რომ შეერთებულმა შტატებმა მიიღოს სომხეთის მანდატი, რადგან ეხლანდელი სომხეთი დანგრეული და განადგურებული მოითხოვს იქ ყოფნას იმ ჯარისას, რომელიც სომხებს თათრებისაგან დაიცავს.

### გერმანიის ჯარი.

გერმანიის ოფიციალური ნოტა იუწყება, რომ მისი ჯარის 200,000 კაცამდე მიყვანის საქმე უკვე დასრულდა.

# ახალი ამბები

**ზავი საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის.** ადერბეიჯანის და საქართველოს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 12 ივნისს, საღამოს 10 ს. კვირას, 13 ივნისს, დილის 8 ს. თფილისში დაბრუნდნენ საქართველოს დელეგაციის წევრები, რომელშიაც შედიან: დელეგაციის თავმჯდომარე სახედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, დელეგაციის წევრები: ს. გ. მდივანი, გენერალი კ. ანდრონიკაშვილი და მდივნები: დ. მდივანი და შ. ვადაჭკორია.

✦ **ახალციხიდან** იუწყებიან: 11 ივნისს ახალციხეში დაბრუნდა ხულოში ნამყოფი 251 კადრის ჯარის კაცი. ყველა ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებანი და ყველა მოქალაქენი ქალაქს გარეთ დიდის ზეიმით შეეგებნენ დაბრუნებულებს. ყველა დაწესებულების წარმომადგენლებმა სიტყვები წარმოსთქვეს. ქალაქის გამგეობამ გმირებს შესწირა 5,000 მან., ერობამ 10,000 მან. მცხოვრებლებმა ჯარისკაცები ყაზარმებამდე მიაცილეს. ერობა მათ სადილით გაუმასპინძლდა.

✦ **სამუსლიმანო საქართველოს სკოლები.** დამფუძნებელ კრების განათლების კომისიამ მოიწონა პროექტი დეკრეტისა სამუსლიმანო საქართველოს სკოლების შესანახათ გაწეულ ხარჯების დასაფარავათ 2,230,500 მან. გაღების შესახებ.

✦ **დახმარება ერობებს.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობას შუამდგომლობით მიმართა, რათა 100 მილიონ დახმარების ფონდიდან თითო მილიონი მისცეს შემდეგ ერობებს: თიანეთის, რაჭის, კოდორის და გუმისტანისას.

✦ **აქციზის დაკლება ღვინოზე.** მთავრობის ეკონომიური კომისია უკანასკნელ სხდომაზე იხილავდა მეღვინეთა ყრილობის საბჭოს შუამდგომლობას ღვინოზე აქციზის დაკლების შესახებ. მთავრობის კომისიამ დაადგინა დაუკლოს აქციზი ღვინოზე 5 მან. 3 მანეთამდე. განზრახულია აგრეთვე სპეციალისტების ევროპაში გაგზავნა რათა იქ დახელოვნდნენ ღვინის დაყენებისა და ვენახის გაშენების საქმეში.

✦ **მიწად-მოქმედების სამინისტრომ** მთავრობას მოხსენება წარუდგინა 10 მილ. მან. მიცემის შესახებ, რომლითაც სამინისტროს სურს საადრო სიმინდის

შესყიდვა და ერობის საშუალებით მცხოვრებთათვის დარიგება იმ რაიონებში, რომლებიც ძლიერ დაზარალდენ სეტყვით და წვიმებით. მიწათ-მოქმედების სამინისტრო თავის მოხსენებაში აღნიშნავს სეტყვით და წვიმებით მიყენებულ ზარალს. ერობების წინადადებით დაზიანებულ ადგილების დასათესად საჭირო იქნება სულ ოცი ვაგონი საადრო სიმინდის თესლი. მიწათ-მოქმედების მინისტრი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ახლავე შეუდგნენ ყანების სიმინდით დათესვას და რომ დახმარება უეჭველად საჩქაროდ უნდა იქნას აღმოჩენილი.

◆ **შრომის სასამართლო.** შრომის სამინისტრომ დაამუშავა კანონ-პროექტი შრომის სასამართლოების შესახებ. ამ სასამართლოებმა უნდა განიხილოს ყველა უთანხმოება, რომელიც დაიბადება მეპატრონეთა და მუშებს შორის. ამ ჟამად ამ კონფლიქტებს ცენტრალური მომრიგებელი კამერა იხილავს. ეს კანონ-პროექტი დასკვნისათვის სავაჭრო. და იუსტიციის სამინისტროებს გადაეცა. ვაჭრობის სამინისტრო ასეთი სპეციალური სასამართლოების წინააღმდეგ წავიდა, ვინაიდან მისი აზრით საქართველოში საერთო დემოკრატიული სასამართლო არსებობს. შრომის სამინისტრო ფიქრობს მაინც შეიტანოს ეს კანონ-პროექტი მთავრობაში განსახილველად.

◆ **ტყიბულის ნახშირის დამუშავება** გზათა დეპარტამენტის დირექტორმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა სახელმწიფო წარმოებებში მართველობის შეცვლის შესახებ, კერძოთ კი ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოებაში. დღემდე ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოების ხელმძღვანელობა საერთო მართველობის წესით ხდებოდა. ეს კი, უსათუოდ უარყოფით გავლენას ახდენდა წარმოების მომგებიანობაზე — ინჟინერი ჭიჭინაძე თავის მოხსენებაში წინადადებას იძლევა ახალი მართველობის მოსაწყობათ, რომელსაც სახელმწიფო წარმოების კომერციულ ნიადაგზე დაყენება ექნება მიზნათ.

◆ **ფრონტის სასარგებლოთ.** ნავთლუღის სამხედრო ლაზარეთის მოსამსახურეებმა და მუშებმა თავის საერთო კრებაზე დაადგინეს გადადვან ფრონტის სასარგებლოდ დღიური ხელფასი და საღამო გამართონ, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ჯარის კაცთათვის საჩუქრების შესაძენად.

◆ **თფილის-ერევანი.** გადაწყვეტილია პირდაპირი მიმოსვლა დააწესონ თფილისსა და ერევანს შორის. თფილისიდან მატარებლები გავა 15, 17, 21, 25 და 29 ივნისს. თფილისში მოვა 14, 18, 22, 30 ივნისს და 1 ივლისს.

◆ **რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის** მთავარი კომიტეტის სხდომა შესდგება 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე კავშირის შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3) ხოლო ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობა 16 ივნისს 12 ს.

◆ **დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა** ამით აუწყებს იმ დაჭრილ დასახიჩრებულთ, რომლებიც პროვინციებიდან თფილისში ჩამოდიან დროებით, რომ მათ დასახიჩრებულთა კავშირის თავშესაფარში მიეცემათ უფასო ბინა და იაფი პური. მსურველებმა უნდა მიმართონ კავშირის სამართველოში, კავშირის მდივანს. (პლეხანოვის ქუჩა № 139). კავშირის გამგეობა.

◆ **რესპუბ. კანონთა გადასინჯვა.** კანონთა გადამსინჯავ კომისიის მუშაობა მომავალ კვირაში დაიწყება. პირველ საკითხთა შორის განხილული იქნება პასპორტების წესდება, კანონები: ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთ დამოკიდებულების და გათხოვება-გაყრის შესახებ. იუსტიციის სამინისტროში ამბობენ, რომ კომისია საკუთარ პასპორტის სისტემის გამომუშავებას ფიქრობსო. შესაძლებელია, რომ პასპორტის წესების გადასინჯვის დროს სავანგებო თათბირი მოიწვიონ.

◆ **მდინარე ცხენის წყალის ნაპირების გამაგრება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიტანა განსახილველად დამფ. კრებაში სენაკის სამაზრო ერობის შუამდგომლობა სამელიორიზაციო მუშაობისათვის და მდინარე ცხენის წყლის ნაპირების გასამაგრებლად 480,000 მან. სესხის მიცემის შესახებ. საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ უარყო ეს შუამდგომლობა და დაადგინა დაუბრუნდეს იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს შენიშვნით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეუძლებელია განსაკუთრებული ფონდიდან, რომელიც იმყოფება მთავრობის განკარგულებაში ერობებზე სესხის მისაცემად, შესაფერი სესხის მიცემა.

◆ თფილისის მეხუთე ქალთა გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭო ულრმეს მადლობას უძღვნის მეორე ქართულ კლუბის (ყოფილი ხარფუხის) მამასახლისთა საბჭოს იმ გულუხვ 5000 მანეთის შემოწირულობისათვის, რომელიც მან გაიღო აღნიშნულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

◆ **ქართულ მუსიკალურ საზოგადოებამ** კაპელამ და საოპერო სტუდიამ კვირას, 13 ივნისს ნაძალადევის თეატრში დასდგა დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ოპერა კარგი ანსამბლით ჩატარდა. მუსიკალურ სასწავლებელში გამართულ მოწაფეთა კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო, იყვნენ როგორც მოწაფეთა მშობლები, აგრეთვე საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებიც.

◆ **მოწაფეთა საღამო.** შაბათს, 19 ივნისს, თფილისის რეალურ სასწავლებლის დარბაზში გაიმართება ამ სასწავლებლის კურს დამთავრებულ მოწაფეთა საღამო. მონაწილეობას ღებულობენ თფილისის საუკეთესო მსახიობნი.

◆ **კლუბების, რესტორანების, სასტუმროების** და სხვა მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობა აცხადებს დელეგატთა საბჭოს წევრების საყურადღებოთ, რომ დაჩქარებით შემოიტანონ ვისზედაც არის დარჩენილი ჟურნალების ფული. ამასთან ერთათ დელეგატების საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 17 ივნისს, დილის 10 ს. კავშირის ბინაზე დანიშნულია დელეგატთა საბჭოს ყრილობა, დასწრება სავალდებულოა.

◆ **ფრონტის დამხმარე** მთავარ კომიტეტმა მიიღო ქ. სენაკის გამგეობისაგან, ქალაქის მცხოვრებთა შორის შეკრებილი ფრონტისათვის ფულად 20,965 მანეთი და საჩუქრები ღირებული 13,827 მანეთად.

◆ **მედიკამენტების დამზადება.** ერობათა კავშირში აღძრულია საკითხი ერობის მედიკამენტების ცენტრალურ საწყობის მოწყობის შესახებ. ზოგიერთი ერობა უკვე შეუდგა წამლის მცენარეების შეკრებასა და გახმობას. სამაზრო ერობებმა საკითხი აღძრეს ერობათა კავშირში თავისივე ძალებით მედიკამენტების დამზადების შესახებ. ამიტომ განზრახულია ერობათა კავშირიდან დაარსონ ცენტრალური მმართველობა, რომელიც გაუძღვება მედიკამენტების დამზადებისა და განაწილების ყველა საქმეს. განზრახულია ლაბარატორიების ორგანიზაცია, დამზადება სპირტისა და წამლისათვის საჭირო მცენარეულობისა, რომლითაც ასე მდიდარია საქართველოს ბუნება.

◆ **მომღ. მ. ნანობაშვილის ბენეფისი.** დღეს სახელმწიფო თეატრში პარიზის „დიდი ოპერის“ არტისტის მიშელ დ,არიალის საბენეფისოთ დაიდგმება ოპერა „კარმენი“, რომელშიაც დონ გოზეს როლი ბენეფიციანტის რეპერტუარში ერთ საუკეთესო როლათ ითვლება.

◆ **საზებიო ინსტიტუტის კურს დამთავრებულთა** სიაში, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში გამოტოვებული იყო ე. ე. ვაშალომიძე.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ჭიათურის თემი** 8 და 12 ივნისს გაანადგურა ნიაღვარმა. სრულიად განადგურებულია ნამუშევრები, წისქვილები. ადამიანთა მსხვერპლი ჯერ-ჯერობით გამორკვეულია 2. ხალხი სასოწარკვეთილებაშია.

## საქართველოს საზ-ბის ერთა ლიგის საჯარო სხდომა

ივნისის 12, საღამოს 8 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საჯარო კრება საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგისა. ამ დღისათვის მოწვეული იყვენ ცენტრ. მუშათა კავშირის წარმომადგენლები, ცენტრ. კოოპერატივის წარმომადგენელნი, კულტურულ-საზოგადოების წარმომადგენელნი, ქალთა საზოგადოების წარმომადგენელნი და სხვა და სხვა.

სხდომა გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ალ. ლომთათიძემ. კრების გახსნისას ვ. ღამბაშიძემ გააცნო დამსწრე საზოგადოებას საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგის ორგანოს დაარსების ისტორია და მისი მუშაობა. აღნიშნა, რომ ლონდონში არსებობს ნაციათა ლიგის კავშირი, ნაციათა ლიგის იდეის საპროპაგანდოთ. ამ ლიგის კომიტეტთან ლონდონში მყოფ ქართველებს დაუარსებიათ ქართული განყოფილება. საქართველოს წარმომადგენელმა გვარჯალაძემ გვაცნობა ქართველების მიერ გადადგმული ნაბიჯი ლონდონში, ქართული განყოფილების დაარსებით. პირველი კრება დეკემბრის 7 მოვიწვიეთ. ამ კრებამ ჩაუყარა საძირკველი საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგას. ჩვენ მუშაობას ორგანიზაციული ხასიათი აქვს. საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგის პრეზიდიუმმა რამდენჯერმე მოიწვია სხდომა, სადაც ირჩეოდა სხვადასხვა ხასიათის საკითხები ერთა ლიგის იდეების გასავრცელებლად. უკანასკნელ კრებაზე პრეზიდიუმმა მიიღო ბ-ნ ჯაყელის წერილი, რომელიც იტყობინებოდა, რომ რომში მოწვეულია მეოთხე ერთა ლიგის კონფერენცია, სადაც საჭირო იყო გაგვეგზავნა ჩვენი წარმომადგენელიც.

თქვენ მოგეხსენებათ გაზეთებიდან, რომ საზოგადოების პრეზიდიუმმა გაუგზავნა მისალმების დეპეშა რომში ერთა ლიგის კონფერენციის თავმჯდომარეს და აგრეთვე ჯაყელს, რომელსაც ავალებდა საქართველოს საზოგადოების ერთა ლიგის წარმომადგენლობას. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქართველების დამახასიათებელი თვისება მშვიდობიანობის და კულტურულ მუშაობაში გამოიხატება. ჩვენ ყოველთვის ვერიდებოდით ძალადობას და საქართველოს ხალხი მუდამ მოწადინე იყო და არის, როგორც მეზობლებთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან სოლიდარული, კულტურული ურთიერთობა დაამყაროს. შემდეგში, როდესაც ევროპასთან აღვადგენთ ნორმალურ მისვლა-მოსვლას, ჩვენი მუშაობა ამ დარგში გაორკეცდება. ვახ. ღამბაშიძის მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ კრება დახურა. დღიური წესრიგის სხვა მოხსენებანი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის. (სდს)

## წერილები ფრონტიდან

1.

წითელი ხიდი.

27 მაისს შევიტყეთ ფრონტზე, რომ ადერბეიჯანის მთავრობამ ჩვენ მთავრობას სთხოვა დროებითი ზავის ჩამოგდება. ჩვენმა მთავრობამ მოლაპარაკებისათვის ერთი კვირის ვადა მისცა. დროებითი ზავის გამო, საომარი მოქმედება შესწყდა და ჩვენ დიდათ დაინტერესებული ვიყავით, თუ რას გვიპასუხებდა უეცრათ „გაწითლებული“ ადერბეიჯანი. წითელ ხიდთან იდგნენ ჩვენი დარაჯები. ადერბეიჯანის მხრიდან შვიდი კაციდან შემდგარი ყარაული. სულ ყველანი რუსები—წითელი არმიელები. წითელი ხიდი შედიოდა ჩემ საომარ უბანში, სადაც მე მყავდა მოთავსებული ჩემი ჯგუფი სახალხო გვარდიის № ბათალიონისა. უმთავრესი ჩვენი მიზანი იყო წითელი ხიდის დაცვა. მე ხშირად დავდიოდი პოსტების დასათვალიერებლად. ერთ საღამოს წაველი ჩემი ამხანაგით ხიდის დასათვალიერებლათ, სადაც იდგა ჩემი ჯგუფის ორი ოცეული. როდესაც ხიდს მივუახლოვდი, გვარდიელები შემხვდნენ და მომესალმენ. სხვათა შორის მითხრეს:—ნახეთ საწყალი რუსები რას ამბობენ, რა გაჭირვებას განიცდიან?.—მე მიველი მათ სადარაჯოზე და გამარჯვება უთხარი, იმათ მიპასუხეს. შევეკითხე სადაურები იყვნენ ან რათ მოსულიყვნენ ადერბეიჯანში. იმათ მიპასუხეს:—ჩვენ ბალშევიკები ვართ, წითელი არმიელები და სოციალიზმი მოვიტანეთ ადერბეიჯანში და თფილისშიაც მოვდიოდითო, მაგრამ თქვენმა ჯარმა დაგვამარცხა და უკან წავედითო. ამავე დროს ჩვენმა გვარდიელებმა უთხრეს მათ, რომ მე აფიცერი ვარ, და ზრდილობიანათ ილაპარაკეთო. მაშინ ერთმა მათგანმა მკითხა:—თქვენ რა ხარისხი გაქვთ? მე ვუპასუხე ჩვენში ჩინები არ არის, ჩვენ თანამდებობა გვაქვს. როდესაც შეიტყვეს, რომ მე ჯგუფის უფროსი ვიყავი, ერთმა მათგანმა სთქვა:—თქვენ და თქვენი გვარდიელები, როგორც ამხანაგები ისე ხართო. მე ვუპასუხე, რომ ჩვენ თანასწორნი ვართ ყველანი, ამხანაგობა გვაქვს, ნდობა და სიყვარული ერთმანეთის. ჩვენ ასე გვეუბნებოდნენო, რომ საქართველოში რეაქცია არის გამეფებული, წავიდეთ და მუშა ხალხი ვიხსნათო. წითელი არმია თავიდან წინააღმდეგი იყო ქართველებთან ბრძოლის, მაგრამ ჩვენმა უფროსებმა, სადაც ბევრი ქართველებიც არიან, წამოგვიყვანეს და დაგვპირდნენ, რომ ორ დღეში თფილისში ვიქნებითო, იქ დაგბანთ, ჩაგაცმევთ და თეთრ პურს გაჭმევთო. ასე გვეუბნებოდნენ არმიელები.

მე ვკითხე რა გძლევათ საჭმელი? ერმა მიპასუხა:—მეოთხედი გირვანქა პური, 6 მისხალი შაქარი, ხან თევზი, და ხან ხორცი მეოთხედი გირვანქა, ან-და უნდა იშოვო თავის თავათ.

თავის თავათ როგორ იშოვი?—ვკითხე მე. როგორ?—მიპასუხა მეორემ. შევალ სადმე დუქანში დაავლებ ხელს საქონელს და წამოვიღებო. ამავე დროს ერთი მათგანი ძლიერ „მუშაობაში“ იყო. სჩანდა ძალაზე აჯავრებდა მკბენარი და ხან ერთი ხელით და ხან მეორეთი იგლეჯდა ტანზე კანს. მე ძალაზე შემეცოდა და ლაპარაკი მინდოდა შემეწყვიტა მათთან, მაგრამ ერთი მათგანი შემეკითხა:—მითხარი ამხანაგო, ბრძოლა კიდევ იქნებაო? მე ვუპასუხე: არ ვიცი, ჩვენ არავის ვეჩხუბებით, თუ ჩვენ არ გვეჩხუბებიან. არც ჩვენ გვინდა ჩხუბიო,—იყო პასუხი. ძალიან კარგი, მე ვუთხარი, თქვენ თუ არ იჩხუბებთ, ჩვენ როდის ვეჩხუბებოდით ვისმეს. ადერბეიჯანში დავამყარეთ სოციალიზმიო, ერთმა სთქვა და სოციალიზმი კი საქართველოში ყოფილაო.

ჩვენი წითელი არმიელები ამბობენ, რომ თუ საბჭოთა მთავრობამ საქართველოს ეჩხუბა, ჩვენ საქართველოში გადავიაროთ და იარაღს ქართველებს ჩავაბარებთო.

გვარდიელებმა უპასუხეს:—ჩვენში რა გინდათ, შინ წადითო...

დავბრუნდით ჩვენს ბინაზე,სადაც ჯგუფიდი იყო მოთავსებული. იქ რამოდენიმე კახელი დაგვხდა. ყველანი იმ რუსებზე ლაპარაკობდნენ. ერთმა კახელმა სთქვა: საწყალი რუსები თურმე ასტრახანიდან ბაქომდე ფეხით მოვიდნენო. ერთ მათგანს ენახა რუსები ნეიტრალურ ზონაში „ნეიტრალურ ზონაში„ რომელთაც ეამბნათ, რომ ვიღაც ქართველი კვანტალიანი გვყავს დივიზიის უფროსათ, რომელმაც რუსულად ლაპარაკიც არ იცისო. კვანტალიანი დაპირებია რუსებს ორ დღეში თფილისში ჩასვლას. ჩვენ საქართველოში რომ ვინმემ მტრულად და დასაპყრობათ ფეხი შემოდგას, ჩვენ შევაწყდებით და არავის შემოუშვებთო სთქვეს კახელებმა. ასე მონდომებული როგორც ეხლა არ მინახავს ჩვენი ჯარი და გვარდია. გაგვიშვითო, ამბობენ, რის დროებითი ზავი, რა უნდათ რუსებს და ადერბეიჯანის ხანებს ჩვენ ვიცითო. მაგრამ მთავრობის განკარგულებას უყურებენ. სადაც არ გასჭრის ჩვენი სოციალისტური მთავრობის დიპლომატიური სიტყვა და კეთილი განწყობილება მეზობელ ერებისადმი, იქ გასჭრის ჩვენი ჯარის და გვარდიის ტყვია და ხმალი...

**თ. ქანიშვილი.**

2.

აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფი № ბათალიონის მზვერავთა ჯგუფი გვარდიელები აღტაცებულნი არიან იმ უხვი თანაგრძნობით, რომელიც გამოიხატა საჩუქრების გამოგზავნით ზურგში მყოფ მოქალაქეების მიერ. გაზეთებიდან შევიტყეთ რომ ხალხი დიდის აღფრთოვანებით შეხვდა ამ საჩუქრების შეგროვებას. განურჩევლათ მიმართულებისა ყველა თავის წვლილს იღებდაო, და მართლაც, რომ ეს ასე ყოფილა, ამაში ჩვენ დღეს დავრწმუნდით.

ჩვენ დაგვირიგდა ფრონტზე გამოგზავნილი საჩუქრები, რომლის მიღებამ დიდი სიამოვნება გამოიწვია. ამან უფრო გააღვივა ჩვენში სიყვარული თავისუფალ სამშობლოსადმი. დარწმუნდნენ ჩვენი თავხედი მტრები, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ძალათ შემოჭრა არავის ძალუძს.

გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის დამცველ გმირ მხედრობას.

გვარდიელი **შოთა ხარჯველაძე.**

6 ივნისი.

3.

ულრმეს მადლობას ვუძღვნით მთელად ნაცვალთა ათასეული იმ მოქალაქეებს, რომელთაც წვლილი გაიღეს ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებისათვის.

ფიცსა სდებს ნაცვალთა ათასეული? რომ იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და თუ ვინმე იქნება ამ ფიცის დამრღვევი, ის იქნება მოღალატე თავისი სამშობლოსი და თავის ოჯახისა. ვიცით, რომ ჩვენი მთავრობა ერიდება სისხლის ღვრას, მაგრამ როდესაც დაგვეცემიან თავზე, ჩვენ არ ვიქნებით მამულისშვილები თუ არ გავცემთ მათ ღირსეულ პასუხს. ჩვენი მთავრობა და ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენ მუდამ კეთილსინდისიერათ შევასრულებთ ყოველივე მონდობილ საქმეს.

მაშ გაუმარჯოს ყვენ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენ მთავრობას, და ჩვენ ამაყ ჯარს და გვარდიას.

ჯარისკაცების მონდობილობით, ნაცვალთა ათასეულის მესამე ჯგუფის ჯარისკაცი **კონსტ. ულენტი.**

## საღამო ქალთა მე-7 (წმ. ნინოს) გიმნაზიაში

მეტათ საყურადღებო საბავშვო საღამოები იმართება ქალთა მე-7 გიმნაზიაში. ეს სრულებით არა ჰგავს ჩვეულებრივ „საპარადო“ საღამოებს, რომლებსაც ჩვეულებრივ მართავდნენ აქამდის საშუალო სასწავლებლებში და რომლის მიზანი უფრო ის იყო, რომ რუდოლფ-სლავინსკებისთვის მოეწონებინათ გიმნაზია. ყველას ეცოდინება ამ საღამოების ნიშანდობლივი თვისებები: მასწავლებლები დააზეპირებენ საუკეთესო მოსწავლეებს ლექსებს, სიმღერებს და სხ. და ათქმევინებენ სცენიდან. ყოველს წაკითხულს ლექსში ან თქმულ სიმღერაში უფრო მასწავლებელი სჩანს, ვიდრე მოსწავლე.

სულ სხვა ელფერი აქვს ქალთა მე-7 გიმ. საბავშო საღამოებს. მოსწავლეთა თვითმოქმედება, აი ის, რაზედაც ყველაზე მეტი ყურადღებაა აქ მიპყრობილი. მასწავლებელი აქ დამხმარე, მრჩეველია შემომქმედი თვით მოსწავლეა. ამიტომ არის, რომ ეს საღამოები სრულიად მოკლებულია „სახაზინო“ ბეჭედს, ასეთი მდიდარია შინაარსით და შემოქმედებითი უნარით. მონაწილეობას ღებულობს დიდი რიცხვი მოსწავლეთა და ყოველს მათგანს საღამოში შეაქვს თავისი ნიჭი, შემოქმედება და ინდივიდუალობა.

12 თიბათვეს გამართულმა საღამომ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები. მთელი საღამო ერთს პროგრამაზე იყო აგებული: მოსწავლეებმა წარმოადგინეს ძველი საბერძნეთის ოლიმპიური დღესასწაული. ძველ ბერძნულათ გამოწყობილმა მოწაფეებმა შეჯიბრება გამართეს სხვადასხვა დარგის ხელოვნებაში, როგორც ეს ხდებოდა ოლიმპიურ დღესასწაულის დროს: სიტყვიერებაში, მუსიკაში, სიმღერაში, ცეკვაში. ყველა ამ დარგებში მოწაფეები საკუთარ შემოქმედების ნაყოფს უდგენდენ დამსწრე საზოგადოებას. განსაკუთრებული კოლლეგია მსაჯულთა სწყვეტდა, ვის უნდა მიესაჯოს „საღამოს დედოფლის“ სახელი. გზირი აცხადებდა, ესა და ეს მონაწილე შეჯიბრებისა შეასრულებს ამა და ამ ნომერსო. მთელი საღამო ჩატარდა ამნაირად ოლიმპიურ დღესასწაულის ჩარჩოებში.

ეს მშვენიერი იდეა მეტად ნაყოფიერი გამოდგა. შეჯიბრების მონაწილე მოწაფეთა შორის რამდენიმე მაღალ ნიჭიერი მოწაფეა. ის თვითმოქმედების პრინციპი, რომელზედაც აგებული იყო 12 ივნისის საღამო, მოწაფეებს უძლიერებს ხალისს და შემოქმედებითს უნარს. ამის ნაყოფია ის, რომ ეს გიმნაზია საქართველოს უზრდის მომავალ მსხვილ მოღვაწეებს: თამამად ვიტყვით, რომ ოლიმპიურ შეჯიბრების ზოგიერთ მონაწილეთა განვითარება თუ იმ ტემპით წავა წინ, რომელსაც მათი ნიჭი მოითხოვს, გიმნაზია მისცემს ჩვენს საზოგადოებას საუცხოვო მომღერლებს, მსხვილს მწერლებს, კარგს მოცეკვავებს და კარგს მუსიკოსებს.

პედაგოგიური თვალსაზრისითაც მეტათ ნაყოფიერია ასეთი საღამო. იმის მაგივრად, რომ მშრალ წიგნებიდან ისწავლონ საბერძნეთის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი მხარე, ბავშვები ამას სწავლობენ ენერგიის დაუხარჯავად, მეტათ საინტერესო წარმოდგენის საშუალებით.

**დამსწრე.**

## ბათომი

12 ივნისს ინგლისის სარდლობის განკარგულებით დაატუსაღეს და ციხეში გაგზავნეს ბათომის ოლქის მილიციის უფროსი პოლკოვნიკი იონინი.

— გადმოგვცემენ, რომ ქობულეთის უბანში მყოფი ყველა ინგლისელი ჯარისკაცები უკანვე გამოუწვევიათ. აგრეთვე მოუხსნიათ ჩოლოქის საზღვარზე მყოფი ჯარისკაცებიც.

— 10 ივნისიდან საქ. რესპ. ბათომის საკონსულოში თითო პასპორტში გადაახდევინებენ 100 მანეთს, ბათუმიდან გასვლის ნებართვაში ქართველებს —50 მ. გასვლა-შემოსვლის ნებართვაში—100 მ. სხვა ეროვნების ხალხს გადაახდევინებენ ბათომიდან გასვლის ნებართვაში—150 მ. საქართველოში შესვლის და უკან დაბრუნების მოწმობაში —300 მან. საზღვარ გარედ წასასვლელ ნებართვაში—1000 მან. მოწმობაზე „ვიზის“ გაკეთებისათვის 500 მან., სხვა და სხვა საქონლის შემოტანის ნებართვა—500 მან., რომელსაც დაემატება ერთი მეოთხედი მოწმობაში აღნიშნული საქონლის ღირებულებისა.

„სამ. საქ.“

## ბოროტმოქმედება ქალაქის ფურნეში

7 ივნისს მოწამე გავხდი ერთი დიდი და მიუტევებელი ბოროტ-მოქმედებისა.

არსენალის ქუჩით, დაახლოვებით 12 საათზე ამოუტარებიათ ერთი „ტაჭკა“ დატვირთული პურით, რომელსაც მოჩვებოდენ ერთი უმცროსი მილიციონერი და ორი პურის გამყიდველნი, რომლებიც შედიოდნენ ყოველ დუქანში და კითხულობდნენ, პურს თუ იყიდითო. ზოგს მედუქნეს პური სიბევრის გამო ვერ აეღო, რომ არ გაჰფუჭებოდა, ზოგსაც საკმაო ფული არ აღმოსჩენოდა პურის შესასყიდათ და წვრილათ გაყიდვა იმათ არ მოუსურვებიათ და ასე კითხვა-კითხვით გასულიყვნენ ლაზარევის ქუჩაზე, სადაც უკანასკნელათ შესულან ანტონ სარქისოვის დუქანში და უკითხავთ მისთვის, ჩვენ პური გვაქვს გასასყიდი და თუ იყიდითო.

მედუქნეს თანხმობა განუცხადებია პურის ყიდვაზე და დაუწყიათ მორიგება ფასზე; მორიგებულან ოც მანეთად გირვანქა. მიუწონია მედუქნეს პური დაახლოვებით თორმეტ ფუთამდე. მორიგების დროს მედუქნეს ეჭვი დაჰბადებოდა პურის ბოროტმოქმედებით გაყიდვაზე და შეჰკითხებია იქვე მდგომ მილიციონერს, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა პურის გაყიდვაში, თუ მათდამი გაყიდული პური შეადგენდა მათ საკუთრებას და ხომ რაიმე ბოროტმოქმედებას არ აქვს აქ ადგილიო. მილიციონერს მიუგია, რომ ეს პური არის სრულს ჩვენს უფლებაში და პასუხისმგებლებიც ჩვენ ვიქნებითო; მოვაჰრეს, რადგანაც არ აღმოჩენია საკმაო ფული, მიუცია მხოლოდ ნაწილი კუთვნილი ფულისა იმ პირობით, რომ დანარჩენს ნახევარი საათის შემდეგ უსათუოდ მიიღებდნენ. უკვე მიღებული ფულიდან მილიციონერისთვის შეუძლევიათ ორი ათას ხუთასი მანეთი, მაგრამ უკანასკნელს არ აუღია იმ მიზეზით, რომ ხსენებული ფული ცოტა იყო მის გასამრჯელოთ. შემდეგ პურის გამყიდველებს ათასი მანეთი კიდევ მოუმატებიათ და მილიციონერიც დაკმაყოფილებულიყო სამი ათას ხუთასი მანეთით, რის შემდეგ ყველანი თავთავიანთ გზაზე წასულიყვნენ. მოვაჭრე ანტონ სარქისოვს მაინც ვერ დაუჯერებია მილიციონერის რწმუნება, რომ პური იყო მათი საკუთრება და ხიფათის თავიდან ასაცდენათ მომმართა მე, ვანო ტატუნაშვილს თფილისის არსენალში და გამაცნო დაწვრილებით საქმის ვითარება, თუ როგორ ეყიდა პური ზემოაღნიშნულ პირებიდან. მე მაშინვე გამოვექანე ხსენებულ დუქანში. ისინი იქ არ დამხვდნენ. მე ვკითხე პურის გამყიდავთა ვინაობა, რაც მითხრეს ზოგიერთებმა. გავეშურე მათ ბინაზე, მაგრამ სახლში არ დამხვდნენ. ჩემს იმათ ძებნაში არსენალში გაეგოთ კიდევ სხვა ამხანაგებს ეს ამბავი და წამოსულიყო ამხანაგი გიორგი ახალბედაშვილი საქმის ვითარების გასაგებათ. ხსენებულ ამხანაგს მოესწრო იმათთვინ ზემოაღნიშნულ დუქანში, რომლებიც მოსულიყვნენ დანარჩენი ფულის მისაღებათ. ამხანაგმა ახალბედაშვილმა ისინი მიაცილა მერვე კომისარიატში. როგორც გამოირკვა პური ყოფილა წამოღებული ქალაქის ფურნიდან. ბოროტ-მომქმედნი გადაუციათ სასამართლოსთვინ მილიციონერის გარდა, რადგანაც უკანასკნელი უცვნია ხსენებული კომისარიატის კომისარს, როგორც უდანაშაულო ამ საქმეში და პირიქით, ისე გამოუყვანიათ ოქმში, ვითომც მილიციონერს აღმოეჩინოს ეს ბოროტ-მოქმედება, რაც სიმართლეს მოკლებულია სრულებით. საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთ ყალბათ შედგენილ ოქმს და პასუხისგებაში იქნას მიცემული სხვებთან ერთად ხსენებული მილიციონერი. სამწუხაროდ მილიციონერის სახელი და გვარი ვერ გავიგე, მხოლოდ პირადათ ვიცნობ მას.

**ვანო ტატუნაშვილი.**

## დახმარება ბრძოლის ველზე მყოფთა ოჯახებს

სახალხო გვარდიის გურიის საოლქო შტაბი აცხადებს გურიის სახალხო გვარდიის ბათალიონის ყველა ამხანაგ გვარდიელების საყურადღებოთ, რომ გურიის ყველა თემების მიერ მიღებულია ენერგიული ზომები ყველა უმუშახელოთ დარჩენილი გვარდიელის ოჯახების ყანების დასამუშავებლათ და სურსათითაც დახმარების აღმოსაჩენათ. მრავალ თემებიდან სასიხარულო ცნობები მოდის. ახლო მომავალში გამოცხადდება, თუ რომელ გვარდიელს რა დახმარება აღმოუჩინეს.

ამხანაგებო! თუ ვინმეს მოგდით ცნობა თქვენი ყანების არ დამუშავების შესახებ, საჩქაროთ გამოგზავნეთ განცხადება ოზურგეთის საოლქო შტაბში. ჩვენ მიერ მიღებული იქნება ყოველი ზომები.

გურიის **საოლქო შტაბი.**

## ნეკროლოგი.

**ამხ. ერმალო ცხადაიას ხსოვნას.**

8 ივნისს, საღამოს 10 ს., თფილისის რკინის გზის საავადმყოფოში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე, ძველი რევოლიუციონერი—მებრძოლი ამხ. ე. ი. ცხადაია.

თავზარ დამცემი იყო ეს ცნობა იმათთვის, ვინც ერმალოს და მის წარსულს შორიდან მაინც იცნობდა...

პირადათ ჩემთვის, მისი ძველი მეგობარ-ამხანაგისთვის, მეტათ მძიმე ასატანია ეს ცნობა.

გიმნაზიებში და უნივერსიტეტებში ერმალოს არ უსწავლია და იქიდან დიპლომი არ მიუღია. სამაგიეროთ, მას გამოვლილი ჰქონდა სულ სხვა სკოლა. როგორც შრომის შვილი, ის თავიდანვე ცხოვრების შუაგულში მოექცა და ეს ცხოვრება იყო მისი პირველი მასწავლებელი.

დიახ, მისი სკოლა ცხოვრება იყო.

თუ ცხოვრებამ მას ბევრი შხამი და სამსალა აწოვა, სამაგიეროთ მან გაიგო და ამოიკითხა ამ ცხოვრების საიდუმლოებანი და მისი კანონები.

ცხოვრებისგან უშუამავლოთ შეძენილი საუნჯე-ცოდნა, ერმალოს უქმად არ შეუნახავს. ეს ერთად ერთი მისი განძი. ცხოვრებისგან მიღებული ცონდა სრულად ხალხს დაუბრუნა და ამითი მან დაჩაგრულ მოძმეთა საქმისთვის, ზოგ დიპლომიანებზე ბევრათ მეტი გააკეთა.

მწერლობაშიაც შეჰქონდა ერმალოს თავისი წვლილი. მისი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა და მოღვაწეობა იწყება იმ შავბნელ დროიდან, როცა ჩვენში მშრომელი მასსა სიბნელეში და მონობის ქვეშ გმინავდა და ხალხს სინათლის შემტანი და გზის მაჩვენებელი თითებზე ჩამოითვლებოდნენ. საზოგადო საქმეებში ის მონაწილეობას იღებს ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდობიდან, ხოლო 1900 წლ. ერმალოს ჩვენ ვხედავთ უკვე სავსებით მომზადებულ მომუშავეს, განსაზღვრულის მსოფლმხედველობით და მტკიცე რწმენით აღჭურვილს, განსაზღვრულ მიზნისთვის მებრძოლს.

და ის, უკანასკნელ დღემდის ასეთივე დარჩა.

ამ ხნის განმავლობაში სახალხო საქმეს ერთი წუთითაც არ ჩამოსცილებია, ყველაფერი საპირადო და კერძო—საერთოს ანაცვალა.

მისი ხანგრძლივი სამსახური მშრომელ ხალხისადმი მეტათ მრავალფეროვანი და დიდათ ნაყოფიერი იყო.

მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა იგი საყვარელ საქმეს უდროოთ ჩამოაშორა.

ჩვენმა დემოკრატიამ მისი სახით დაჰკარგა ერთი რჩეული მებრძოლთაგანი, მისმა პარტიამ და რკინის გზელთა ოჯახმა საუკეთესო წევრი, დაობლებულმა წვრილმა ცოლშვილმა—ოჯახის ბურჯი და ნაცნობებ-ნათესავებმა—გულითადი მეგობარი და ამხანაგი.

მშვიდობით სიყრმიდანვე თანშეზრდილო ჩემო გულითადო მეგობარო და ამხანაგო ერმალო!

**ლ. კანკავა.**

## დუშეთის მაზრაში

**სამაზრო ერობა.**

ბრმა რასა სჩივის და თავის უსინათლო თვალსაო. მეც ჩემი აბუჩი, ბეჩავი მაზრის მდგომარეობა მაწუხებს. იგი ისეთსავე გაჭირვებულს მდგომარეობაშია, როგორც ადრეც, უარესიც დაჰმართნია. სამაზრო ერობაში მცირე ჯგუფი მაინც თანხმობით მუშაობდა, რომელიც სათავეში ედგა მაზრას და დღეს მასაც წყალი შესდგომია. ზოგიერთ პირებს ჩამოუგდიათ შუღლი და კოზაკიეთ იჭყლიტება მათს ჭიდილში საზოგადოებრივი საქმე. ყველაფერს შეიძლება გამოენახოს გასამართლებელი საბუთი, მაგრამ, როდესაც ერთმანეთს კრტიმლაობას დაუწყებენ იმ დაწესებულებათა წევრნი, რომელთაც მთელი მაზრა სასოებით შეჰყურებს და ელის შველას, ასეთს შემთხვევაში ვერავითარი ლმობიერება და მიტევება ვერ განიკითხავს მოშუღართ.

ერობა და სხვა მისი მსგავსი დაწესებულება თავშესაფარი მოედანი არ არის, რომ იქ შეჯიბრება და დოღი გაიმართოს.

ან სოლიდარული, მეგობრული მუშაობა, ან არა და ჩამოშორება იმ საქმისა, რომელიც მინდობილი აქვთ ხალხისაგან. სხვა არჩევანი არ არის. ნურავინ გაჰბედავს თუნდა ერთს წუთს დარჩეს იქ, საცა მისს წინააღმდეგ განწყობილია საგრძნობი ნაწილი მაზრის შეგნებულ და რჩეულ პირებისა. ერობა და მაზრა „ვოტჩინა“ არ არის, რომ შემოსავლის წყაროდ გადაიქცეს. აქ ხალხი მოწვეულია სამუშაოთ და რა წამსაც ვინმე ამ დანაკისრ მოვალეობას გადაახურდავებს ინტრიგების მოწყობაში—იგი უმალ უნდა განვიდეს საზოგადოებრივ დაწესებულებიდან, ვით კათაკმეველი.

**ადმინისტრაცია.**

ადმინისტრაცია და ბოროტ-მოქმედება დუშეთის მაზრაში თითქმის სინონიმებათ გადაიქცა. ასე მგონია ჯადო ჰქონდეს აქაურ კომისრებს გაკეთებული. ორი წელიწადია, რაც ადმინისტრაციის აპარატის მოწყობას გაფაციცებით თვალ-ყურს ვადევნებ და ვერ იქნა, ვერ მოვახერხეთ ჩაუყენოთ მას კეთილ-სინდისიერი ხალხი. ფართო ფიცარი დაგვჭირდება ამ ხნის განმავლობაში მაზრაში მომქმედ კომისართა რეგისტრაციის მოსახდენად და მათს „მოღვაწეობის“ აღსანიშნავად. ვინც უნდა მოიყვანო, რა მომხიბლავი წარსულის მქონეც არ უნდა იყოს,—აქ უეჭველად შესტოპავს ისე, რომ ცხრა ულელი ხარკამეჩიც რომ დაუბა ვერ გამოათრევ. ნეტავი პატარა უმნიშვნელო ვინმეები მაინც იყვნენ ეს ვაჟბატონები. ბევრ მათგანს ისეთი ცნობილი საზოგადო მოღვაწის რეკომენდაცია აქვს, რომ განცვიფრებაში მოდიხართ. ასეთ ჯურის ადმინისტრატორთა შორის ამ ბოლო დროს თავი ისახელა სამმა პირმა და სამაზრო ერობამ თფილისს გაგზავნა დაპატიმრებულნი. მათ დაჭერის წინა წუთებში მფარველების ფეხზე დასაყენებლად ბევრგან აფრინეს თავიანთი წერილი, რომელთაც მამა აბრამის ბატკნათ მოაქთ თავი და სრულებით არ აწითლებს ის ათასები და ასი ათასები, რომელიც ერობას წვითა და დაგვით ჰქონდა ნაშოვნი და რომელიც დარდიმანდულათ გაანიავეს საზოგადო მოღვაწის ნიღაბ აფარებულ ყალთაბანდებმა.

**გვარდია.**

მთლად როდია დუშეთის მაზრის ბედი გაუკუღმართებული. რასაც მრავალი ვაჟბატონები აფუჭებენ და ანგრევენ—გვარდია აშენებს. დუშეთის მაზრის სახალხო გვარდიის თაობაზე მთელი ფელეტონებია დასაწერი, იმდენად ლამაზი და სახელოვანი ამბები აქვს მას თავს გადავლილი,

ამ წლინახევრის წინეთ დუშეთის მაზრაში ათს კაცს ვერა ნახავდი, რომ კარგი შეხედულობისა ყოფილიყო გვარდიაზე. გვარდიელებს თავადების მოსყიდულებათ სთვლიდენ და მოსისხლე მტრებსავით უყურებდნენ. აკი ორი წლის წინათ ამბოხებაც მოაწყვეს და კინაღამ თფილისში არ ამოჰყვეს თავი ვითომდა

თავადების მთავრობის დასამხობად.

ერთხელ ერთს საზოგადოებაში ყრილობა მქონდა. ეს იყო მაშინ, როდესაც ჩვენმა გვარდიამ ჩააქრო ამბოხების ცეცხლი და მშვიდობიან იდეურ პროპაგანდა-მუშაობას მივყავით ხელი. არ ვიცი ჩაცმულობის გამო, თუ რისთვის, სოფლებმა გვარდიელად მიმიღეს, ალმაცერად დამიწყეს ყურება. ლაპარაკი, გავათავე. მომიახლოვდა ერთი მოხუცებული გლეხკაცი. ჯერ კარგა ამათვალიერ-ჩამათვალიერა და რომ დარწმუნდა, რომ უიარაღო ვიყავი—დამიწყო დარიგება სოფლის სახელით.

— ბიჭო, შვილო, ენდე ღმერთს, რომ შენთვის კეთილი გვსურს, რას აუტანიხარ წერას, რად დასდგომიხარ საძრახისს გზას, რა დაგაწანწალებს სოფლად, რისთვის, ვისი გულისთვის ირცხვენ თავს, რა იმდენს ჯილდოს გაძლევენ თავადები, რომ მათ ემსახურები. თავადების გულისთვის რად გვატყუებ? ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ მთავრობა მოსყიდულია, თქვენც მოსყიდული ხართ, რათ გაიხადე ამნაირად საქმე? თვალი არ გაკლია და ხელი. ახალგაზრდა კაცი ხარ, ყველგან შეინახავ თავსა. მიაფურთხე ეშმაკსა და გაანებე თავი მაგ საძრახისს გვარდიასო.

ასეთი წარმოდგენის იყვნენ გვარდიაზე მთელს მაზრაში, დღეს კი საზოგადოება არ არის, რომ გვარდია არ იყოს შემდგარი.

სწორეთ ისინი, ვისაც ბალშევიკებად მოჰქონდათ თავი,—დღეს გვარდიის დროშის ქვეშ დგანან და წმინდათაც ინახავენ მას. ერთი დაძახების უმალ ისინი გამოდიან და ყოველთვის გამარჯვებული ყიჟინით მოაფრიალებენ ცეცხლ'ში გავლილ ემბლემას. ახლაც ფრონტზე სდგას დუშეთის მაზრის შვიდასი გვარდიელი—ვეფხვებივით ძლიერი და შეუპოვარი.

განა მარტო ესაა მათი დამსახურება? მათ თავ-გამოდებას უნდა მიეწეროს, რომ დუშეთის მაზრის ამფორიაქებელ ამტუტებელი ყაჩაღები განადგურებულ იქმნენ. გვარდიის მობილიზაციამდის ყოველგვარი ღონისძიება იხმარეს, დიდძალი ფულიც დახარჯეს, მაგრამ წარბიც ვერ შეუხარეს ყაჩაღებს, მხოლოდ გვარდიამ შესძლო ამ დიდი საქმის გაკეთება.

გავარდა თუ არა ხმა, გვარდიამ იდვა თავს ყაჩაღებთან ბრძოლაო, ყველას იმედი მიეცა, რომ გვეშველება, ისინი უეჭველად შესძლებენ მათს ალაგმვასაო. ყაჩაღებსაც დავთარი დაებნათ. ან როგორ არ დაშინებულიყვნენ, რომ საცა გვარდია მოუსწრობდა, თავბედს აწყევლინებდა. გვარდიის ხელმძღვანელი ტატე მუშიაშვილი გლეხი კაცია, მშვენივრად იცის მცხოვრებთა ხასიათი, იცნობს ყოველს კუთხეს, იცის როგორ უნდა მოექცეს მათ, ვინც შიშით და ულუფის სურვილით იფარავს ყაჩაღებს და ამიტომ მან ადვილად მოახერხა ხალხის გამოტეხა.

იყო ისეთი მაგალითი, როცა იმისმა უბრალო ხერხმა ხელში ჩაუგდო ცნობილი ყაჩაღი.

ერთს სოფელში, რომელიც თავშესაფარად ითვლებოდა ყაჩაღებისა, მან შეაგროვა ხალხი და მიუშვირა ხელი თეთრი გიორგის ნიშზე: გაგიწყრეთ იმის მადლი, თუ არ გამოტყდით, სად იმალება მავანი და მავანი ყაჩაღიო. მართლაც გასჭრა მისმა ჩამოწყევლამ, ენდო ხალხი ტატეს და შეაპყრობინა ყაჩაღი. ეს შეუძლიან ხალხის წრიდან გამოსულ და ხალხის ხასიათის მცოდნე პირს. სხვა რომელიმე გენერალ-გუბერნატორი თვალებს გადმოკარკლიდა სიბრაზისაგან, ხმას ამოიხრანწავდა ყვირილით, გააწყალებდა გულს მათრახის ქნევით, მაგრამ ხალხის გაქვავებულ გულს ვერაფერს ათქმევინებდა.

გვარდიამ არამც თუ გაანადგურა ყაჩაღები, იმ სოფლებშიაც კი მოახდინა გვარდიის სახელის პოპულიარიზაცია და აამაღლა მისი ავტორიტეტი, საცა აბრუ გატეხილი იყო. დღეს ყველგან გვარდიის მზეს ფიცულობენ და ჩანგურზე მის საქებარ სიმღერებს დამღერიან.

გაიგულეს თუ არა გვარდიელები ფრონტზე—ქურდ-ბაცაცებმა ნელ-ნელა თავი წამოჰყვეს, დაძარცვეს ხალხი ზედაზენში და რამდენიმე ადგილას. თუ ახლავე არ დაედევნენ კვალში და არ ალაგმეს, შეიძლება გამაგრდნენ დიდ ჯგუფად გაიზარდნენ და ახლავ იწყონ თარეში სამხედრო გზაზე.

მ ო ბ ი ლ ი ზ ა ც ი ა.

დუშეთში გულს შემომყარეს: მრავალ სოფლებიდან ახალგაზრდები სრულებით არ გამოდიან მობილიზაციაშიო. ჩამოუარე სოფლებს. მართლაც არის ისეთი შორეული კუთხეები, საცა უხვად ემყნობა ყოველგვარ ჭორისა და პროვოკაციის ნერგები. ცხადია, ასეთს ადგილებში მოშხამულია ხალხი, საჭიროა მიხედვა ამ სოფლებისა და საუბრის გამართვა დღევანდელს ჩვენს ვითარებაზე. ისეთის სისწრაფით სცვლიან ახალ-ახალი ამბები ერთმანეთს, რომ ჯერ ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი მესვეურებისგან მომენტის განმარტება, მით უფრო საჭიროა ეს ასეთს მივარდნილ კუთხეში, საცა ერთად ერთს მომხსენებლათ ითვლება მკითხავი და ერთად ერთ ტრიბუნად მღვდელი, რომლის მარადიულ საგოდებელს წარმოადგენს მისი მსრიტი და ამოუვსებელი მუცელი. ჯერ არ მახსოვს საზოგადოება, საცა მღვდელი არ შემხვედროდეს და არ მოეჩივლოს, რომ ტაბლის კეთებას უკლო ხალხმა, რომ მისთვის კარგ მსუქან დედლების ნაცვლად ვარიებსაც ძლივს იმეტებენ და სხვა, თუ ჩააცივდი და ათქმევინე რამე მომენტზე და ჩვენს ყოფაზე, ისეთ უმსგავსს რასმეს იტყვის საქართველოს მთავრობის შესახებ, რომ მაიმუნებიც კი გაწითლდებიან სირცხვილით.

ასეთი „განათლებული“ პირები თუ არიან მიყრუებულ სოფლად, თორემ ხეირიანს ამაოდ დაუწყებთ ძებნას, ვერსად შეჰხვდებით.

ერობის თავმჯდომარეს დ. ჰონიშვილს შეგნებული აქვს, რომ ერობის მუშაობა არ იქნება ნაყოფიერი, თუ ხალხი არ გამოფხიზლდა შეუგნებლობის თრიაქისგან, არ გაანთავისუფლა ასეთ მაჯლაჯუნა მდგომარეობისაგან და სცდილობს რაც შეიძლება ბევრს სოფელს მიაწვდინოს ხმა, მაგრამ სოფელი უამრავია და ვერ ახერხებს ყველგან მისვლას.

ასეთს სოფლებში რა თქმა უნდა ბრკოლდება მობილიზაციის დროით ჩატარება, მაგრამ საბედნიეროთ უნდა ითქვას, რომ მაზრაში სოფლების უმეტესობა მაინც ამაზე მცირე სოფლებზე უფრო მაღლა სდგას შეგნებით. უმრავლეს სოფლებში ხალხი უყოყმანოთ გამოდის, თითო ოროლა პირების გარდა. უფრო ხალისით გამოდიან, როცა უხსნიან საქმის ნამდვილს ვითარებას.

დ. თურდოსპირელი.

# მუშათა შორის

**სამხედრო ჰოსპიტალი.** 11 ივნისს შესდგა თფილისის სამხედრო ჰოსპიტალის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. თავმჯდომარეობდა კავშირთა სეკრეტარიატის ინსტრუქტორი ამხ. ლაბაური. დღის წესრიგში იყო: 1) ძველი გამგეობის მოხსენება. 2) ფრონტის დღე და 3) მიმდინარე კითხვები. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. სარქველაძე. ის ამბობს: დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ცდილობდა ადგილობრივი მოსამსახურეთა შეგნებული ნაწილი დაეარსებია კავშირი და დაეცვა თავიანთი ეკონომიური და პროფესიონალური ინტერესები; შარშან, როდესაც კავშირი მოვაწყვეთ, დაგვაბეზღეს, ვითომ ბალშევიკური ორგანიზაცია შევქმედგინა, ამ გაუგებრობის გაფანტვა ჩვენ ვცადეთ, მაგრამ ჩვენზე ძლიერი გამოდგა ბნელი ძალები და ჩაგვიშალეს კავშირის საქმეები, რა თქმა უნდა, მათ უკარნახებდათ ამას ბნელი საქმეების კეთების სურვილი. თქვენ იცით იმ ხანებში რა ბოროტ-მოქმედება იყო გამეფებული ჩვენს დაწესებულებაში. შემდეგ ჩვენ მუშაობა გადავიტანეთ კულტურულ სფეროში, მაგრამ აქაც დიდი დაბრკოლებები განვიცადეთ. არავითარი თანაგრძნობა ჩვენსკენ არ იყო. მომხსენებელი დაწვრილებით აცნობს კრებას მთელი წლის განმავლობაში მოწინავე ამხანაგების მუშაობას ბოროტ-მოქმედების აღმოსაფხვრელად და მოსამსახურეთა სწორ გზაზედ დაყენების ცდას. ის აცნობს აგრეთვე კლუბის მოქმედებას. სისტემატიურად გვქონდა წარმოდგენები, მოგვყავდა დამფუძნებელი კრების წევრები, გვქონდა მოხსენებები, მაგრამ ადმინისტრაციამ არც ფასიანი წარმოდგენების გამართვის ნება მოგვცა, არც დახმარება, არც მორალური თანაგრძნობა და კლუბი მიიხურა. უკანასკნელად რომ კავშირის მოქმედება დაიწყო, მაშინვე წამოყვეს თავი უპასუხისმგებლო პირებმა და შეცდომაში შეიყვანეს ადმინისტრაცია და კავშირის მოქმედება შეაწყვეტინეს. დღეს გაუგებრობა თანდათანობით ქრება. ყველა დარწმუნდა თქვენს სიმართლეში და დღეს აქ ადმინისტრაციის წარმომადგენელიც ისმენს თქვენს სიტყვებს, სხვაფრივ არც შეიძლება. 200 დაქირავებული მოსამსახურის ორგანიზაციის გარეთ დატოვება ყოვლად შეუძლებელია. მხოლოდ ის პროვოკატორები, რომლებიც ასე გააფთრებით გვებრძვიან, აგებენ პასუხს კავშირის და ად—ციის წინაშე.

ამხ. ლაბაური უხსნის კრებას კავშირის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ არ არის კარგი, როდესაც თვით მუშათა წრიდან ებრძვიან მუშათა ორგანიზაციებსო. ეს ღალატია და ყველა ისინი პასუხს აგებენ მუშათა კლასის წინაშეო. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ძველი გამგეობისა, იმ დამაბრკოლებელ მიზეზების გამო, რომელიც კიდევ ბევრი გაუკეთებია გამგეობას და ის დიდი მადლობის ღირსია, მხოლოდ მომავალ გამგეობას ვუსურვებთ ენერგიულ და მუყაით მუშაობას, აგრეთვე ეთხოვოს სეკრეტარიატს, რომ სისტემატიურად გზავნოს ამხ. ლაბაური სანამ ჩამოყალიბდებოდეს კავშირი“.

ფრონტის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლაბაურმა, რასაც კრება ტაშის ცემით და ოვაციებით შეხვდა. მიღებულ იქნა ამხ. ს. ქლენტის წინადადება, გაღებულ იქნას ფრონტის სასარგებლოდ თითო დღის ხელფასი. ამორჩეულ იქნა აგრეთვე ფრონტის დღის მომწყობი ხუთი პირისაგან შემდგარი კომისია. სიგვიანის გამო გადაწყდა გამგეობის არჩევნები მოხდეს 14 ივნისს.

პ. ლეხელი.

**შრომის სამინისტროს კანონ-პროექტი.** შრომის სამინისტრო თავის პროექტში აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მუშების და მოსამსახურეების მატერიალური მდგომარეობა, მიუხედავათ მთელი რიგ ზომებისა, მაინც დაუკმაყოფილებელია. მთავრობის საერთო ეკონომიურმა პოლიტიკამ და კერძოთ შრომის სამინისტროს მიერ მიღებულმა ზომებმა მოახდინეს თავისი გავლენა, რომელიც სიძვირის შეჩერებაში და რეალურ სამუშაო ხელფასის გადიდებაში გამოიხატა. მაშინ, როდესაც შარშან სიძვირეს ყოველთვიურად ერთბაშათ 30—40%% ემატებოდა მიმდინარე წლის იანვრიადან ეს მომატება უკვე ნორმალური გზით მიდის, იგი არ აღემატება 10—15 %%. მომარაგების მიზანშეწონილმა ორგანიზაციამ საშუალება მოგვცა ჯამაგირების მომატებისათვის ხშირათ არ მივვემართა. უკანასკნელი მომატება მოხდა პირველ იანვარს, ე. ი. 5½ თვის წინეთ. არის იმედი, რომ თუ მომავალშიაც მტკიცეთ გავატარებთ ცხოვრებაში იგივე ეკონომიურ პოლიტიკას, რომელსაც უკანასკნელ თვეებში ვატარებდით, მუშების მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდება და არ დაგვჭირდება იმ ფულის ნიშნების რიცხვის გადიდება, რომელსაც ამ ჟამად ეს მუშები იღებენ, მაგრამ ამ ჟამად დგება ხანმოკლე მძიმე პერიოდი ახალი მოსავლის მოლოდინში. მუშების და მოსამსახურეების უმეტესობა დაკავშირებული არიან სოფელთან, და ამ ჟამათ მათ არ აქვთ შეძლება მათთვის ხელმისაწვდომ ფასებში მიიღონ სოფლათ პური და სიმინდი. ის ულუფა კი, რომელსაც მუშები მომარაგების ფონდიდან, მართალია, საგრძნობია, მაგრამ მაინც საჭიროებს შევსებას. პატარა სამუშაო ხელფასი არ აძლევს მათ საშუალებას ბაზარზე იყიდონ ყველაფერი ის, რაც მათთვის საჭიროა. აუცილებელია ამიტომ ერთდროული დახმარება, მით უმეტეს, რომ დგება ზაფხული და მუშების და მოსამსახურეების უმეტესობას უნდა დასვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავენ შრომის უნარს და ნაყოფიერებას. ასეთი დახმარება მით უმეტეს სჭირდება სახელმწიფო მოსამსახურეებს და მუშებს, ვინაიდან მათი ჯამაგირები უფრო მცირეა, ვიდრე იმ მოსამსახურეების, რომელიც კერძო საზოგადო დაწესებულებებში მსახურობენ. სახელმწიფო მოსამსახურეები და მუშები უწევდენ რა ანგარიშს რესპუბლიკის საერთო მდგომარეობას, ურიგდებოდენ პატარა ჯამაგირებს, რომლის მინიმუმი თფილისში უდრიდა დაახლოვებით 2000 მან. პროვინციაში კი 1500 მან. მაგრამ ჯამაგირების მომატება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან იგი გამოიწვევს ცხოვრების საერთო გაძვირებას და უფრო გააუარესებს მდგომარეობას, ერთდროული დახმარება მოსამსახურეებს და მუშებს უსათუოდ უნდა აღმოეჩინოს. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობის თანხის მიცემაში, მაგრამ არა უმეტეს 3000 მ., ვინაიდან საშუალო ჯამაგირი რესპუბლიკაში 3000 მან. უდრის. ეს დახმარება საჩქაროდ უნდა მიეცეს ყველა თფილისის და პროვინციის სახელმწიფო მოსამსახურეებს და მუშებს. დახმარების მისაცემად 90 მილ. მან. დასჭირდება, ვინაიდან არსებულ ცნობების თანახმად სულ მოსამსახურეების და მუშების რიცხვი, რომელნიც სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობს 31,000 კაცს უდრის.

**დახმარება სახელმწიფო მოსამსახურეებს და მუშებს.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმში გაირჩა შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებული პროექტი დეკრეტისა, რომლის ძალითაც სახელმწიფო მოსამსახურეებს და მუშებს მიეცემათ დახმარება ერთი თვის ჯამაგირის სახით, მაგრამ არა უმეტეს 3000 მან პროექტი დასკვნისათვის შრომის, და საფინანსო საბიუჯეტო კომისიებს გადაეცა დამფ. კრების საერთო სხდომაზე განსახილველად, ეს პროექტი ალბათ 15 ივნისს, სამშაბათს, დაისმება.

**მუშათა პრეტენზიები.** შრომის სამინისტრომ იუსტიციის მინისტრს მიმართა თხოვნით, რომ მუშათა და მოსამსახურეთა საქმეები პრეტენზიებით 1919 წლ. 30 იანვ. კანონის თანახმად, სასამართლოს უწყებებმა გაარჩიონ რიგს გარეშე. შრომის სამინისტრო აღნიშნავს 30 იანვ. კანონის დარღვევის ხშირ შემთხვევებს. ამ კანონის თანახმად მობილიზაციით ომში გაწვეულებს ხელფასის ნახევარი ეძლევათ და აგრეთვე ადგილი ენახებათ. ამ კანონის დარღვევის გამო მუშები და მოსამსახურეები იძულებულნი არიან სათანადო საჩივრებით მიმართონ სასამართლოს უწყებებს. ამ კატეგორიათა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო შრომის სამინისტრო ითხოვს, რომ ეს საქმეები რიგს გარეშე იყოს განხილული.

**ჯამაგირების გათანასწორება.** შრომის სამინისტროს წინადადებით მთავრობამ დაადგინა ხელფასის შესახებ საკითხის საერთოთ განხილვამდე სახელმწიფო დაწესებულებების დაბალ მოსამსახურეებს ჯამაგირები გაეთანასწოროს, და თფილისში, სოხუმში, ქუთაისში და ფოთში დაწესდეს 1960 მ. დანარჩენ სხვა ადგილებში კი 1736 მ., შესაფერი კანონ-პროექტი შეტანილი იქნება დამფუძნებელ კრებაში.

**დასახიჩრებულ სამხედრო მოსამსახურეთათვის პენსიის გადიდება.** შრომის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყა, რომ დასახიჩრებულ სამხედრო მოსამსახურეთა პენსიის გამოანგარიშების დროს ყოველი არსებული პერიოდის საშუალო ჯამაგირიდან უნდა გამოვდიოდეთო. ასეთ საშუალო ჯამაგირს ქალაქებისათვის წარმოადგენს 2,700—3000 მან. სოფლიბისათვის კი 1800—2000 მ. ამ განმარტების თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაფერი განკარგულება გასცა იმ დაწესებულებისადმი, რომლებიც პენსიის მიცემის საქმეს განაგებენ.

# პროვინცია

**ბორჩალოს მაზრა.** სომეხთა ბრბოები კიდევ არ ისვენებენ და განუწყვეტლივ თავზარსა სცემენ მშვიდობიან მცხოვრებთ. 18 მაისს სოფ. ვარდისუბნიდან დაიტაცეს ოთხი ხარი, მეორე დღეს სოფ. ავდალოდან წაასხეს 27 მეწველი ძროხა და 5 ცხენი, მესამე დღეს სოფ. ბალიჭებიდან წაასხეს 8 სული მსხვილფეხი საქონელი; ამავე დღეს სოფ. დუმანისის მახლობლათ, სალამოთი, შარაგზაზედ გაძარცვეს, ღედილ-შობილა გაატიტვლეს და მოკვლის განზრახვით უწყალოთ სცემეს თავ-პირში, მაგრამ შემთხვევით გადარჩა, ქ. თფილისიდან მომავალი სოფ. ყალამშიაში მცხოვრებელი ქართველი ღვდლის შვილი, თფილისის საფერშლო სასწავლებლის 17 წლის მოწაფე აბბო ომარაშვილი, რომელსაც გაეგო მამის სიკვდილი და დარდიანი, ფეხით, თავის ოჯახში მიეშურებოდა. ერთი სიტყვით ამ ბრბოებისგან ბორჩალოს მაზრას მოსვენება არა აქვს და მომეტებულათ ქართველთა მცხოვრებთ, შველა და ნუგეში კი არსაიდან სჩანს. როგორც ამას წინათ ვწერდი, უბრალო ადმინისტრატიული ძალებით ასი-ორასი კაცისგან შემდგარ ბრბოებთან ბრძოლა არ შეიძლება, აქ უნდა უფრო ფართო სამხედრო ძალა და სომხეთის მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედება, ვინაიდან იგინი თავშესაფარს პოულობენ ნეიტრალურ ზონაში და ბინადრობენ სომხეთში—ჯალალ-ოღლში. მასთან საჭიროა ჩვენმა მთავრობამ დღესვე მოახდინოს კონფისკაცია იმ ოჯახების უძრავ-მოძრავ ქონებისა, რომელთა წევრნიც იღებენ მონაწილეობას ამ ბრბოებში; მასთან გაძევებულ იქმნენ ასეთი ოჯახები ჩვენ საზღვრებიდან, რადგანაც იგინი აძლევენ თავ-შესაფარს ავაზაკებს და ბრბოებს.

მთავრობის მიერ გამოცხადებულმა მობილიზაციამ საუცხოვოთ ჩაიარა და მთელი მაზრა, ვისაც კი უწევდა, ყველა დროზედ გამოცხადდნენ სამხედრო აღრიცხვის უფროსთან.

ბორჩალოს მაზრაში ისე ფეხს არ გადასდგამთ, რომ რაიმე ძველი ნაშთი არ შეგხვდეთ: ეკლესია, ციხე, წყაროები, სასაფლაო და სხვა, რომელნიც უსიტყვოთ შემოგღაღადებენ, რომ ბორჩალო ყოფილა ოდესღაც, საქართველოს,—ქართველ ტომთა მიერ მჭიდროთ დასახლებული, რომ ამ კუთხეში ღვივებულა სიცოცხლე, მეცნიერება და ხუროთ-მოძღვრება, ამ ჟამად კი მისი აჩრდილიც აღარაა... აოხრებული, გავერანებული ნასოფლარები, რომელთა შორის გამოიყურებიან დარჩომილი თლილი ქვის ეკლესიები, აშენებული წყაროები და საფლავის ქვები, თავის დროის ხელოვნური ჩუქურთმებით, რომელთა ნასოფლარებიდანაც ზოგში დასახლებულნი არიან თათრები, მხოლოდ ეკკლესიები ხელ-უხლებლები დაუტოვებიათ და ზოგიც დღესაც ვერანათ არიან დატოვებულნი.

საჭიროა ჩვენმა მთავრობამ, რაც შეიძლება დაჩქარებით მოაწყოს ფართო კოლონიზაცია ამ მხარეში იმ საქართველოს კუთხეებიდან, სადაც მჭიდროთ ცხოვრობენ და მიწა საკმარისათ არ მოეპოვებათ.

როგორც ნამდვილათ გავიგეთ ბორჩალოს მობინადრე ბერძნები აპირებენ საბერძნეთში გადასახლებას, ჰყიდიან სახლ-კარს და მოწყობილობას, მათ შორის სოფლები: ყამხათალა, წალკა და სხ. ამიტომ ურიგო არ იქნება მთავრობა ჩაერიოს ამ საქმეში და იკისროს შემსყიდვის ან შუა კაცის როლი უმიწაწყლო ქართველებისთვის, ვიდრე სპეკულიანტებს ჩაუვარდებოდეს ხელში ან რომელსამე არა სასურველ პირს.

მთელი ბორჩალოს მაზრის მთავრობის დაწესებულებათა ნაციონალიზაცია ბეჭდებისა და შტემპელების გაქართულებით გამოიხატება, დანარჩენი მთელი შინაარსი მომეტებულ ნაწილათ იწერება ძველებურათ რუსულ ენაზე. ეს იმიტომ, რომ ადგილობრივი ქართველი ინტელიგენცია სრულებით არ მოიპოვება, გარდა ორიოდე პირისა; ხოლო მოსული პირისთვის ცოტა საძნელოა გზების მხრივ, ვინაიდან მისვლა მოსვლა საგრძნობ ფასებშია და ისე როგორ იმსახუროს მეტადრე ცოლშვილიანმა, რომელსაც თუ შვილებიც სასწავლებელში თფილისში ყავს, რომ წელიწადში ორჯელ-სამჯერ არ მოუხდეს მგზავრობა და თითო მგზავრობა დაუჯდება არა ნაკლებ 1500 მ. ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ, თუ მაზრის ერობას უნდა მიიზიდოს ქართველი მუშაკი, მოაწყოს მისვლა-მოსვლა მოსამსახურე პირთა და მათი ცოლშვილისა ხელ მისაწდომ ფასებში, უმთავრეს გზებზედ მაინც, როგორც სადგურიდან სანდარ—ეკატირინოვკა და იამკირეთამდე, აგრეთვე აშაგა-სარალ სადგურ ქ. შულავრამდე, ფოშტასთან ერთად, რა დროც იქნება დანიშნული.

ყველა ერთისთვის და ერთი ყველასათვის. ხელი შეუწყოთ ბორჩალოს, რომ კვლავინდებურად წამოვაყენოთ ფეხზედ და შეუერთოთ სისხლით და ხორცით, ჭირში თუ ლხინში განუყრელ საუკუნოებით დედა—საქართველოს.

ტ. გ.

# წერ. რედაქციის მიმართ

(ღია წერილი ერობათა კავშირის ტეხნიკურ განყოფილების გამგე ბ-ნ ი. სტურუას).

სენაკის სამაზრო ერობის დავალებით, როგორც ამ უკანასკნელის რწმუნებულმა, 11 ივნისს მოგმართეთ თქვენ პირადი თხოვნით დაგვეთმოთ ერობისათვის სატელეფონო მავთულის ნაწილი თქვენი საწყობებიდან. ამაზე თქვენ პირველად განაცხადეთ, რომ ასეთი მავთული საწყობებში არ მოგეპოვებათ, მაგრამ იმის შემდეგ, როცა მე გაგიმეორეთ, ასეთი მავთული თქვენს საწყობებში არის და ეს დაადასტურეს ამ ლაპარაკის დროს ჩვენთან მყოფ მოსამსახურეებმა, თქვენ განაცხადეთ: ერობებს არ აძლევთ იმ მოსაზრებით, რომ ისინი სხვა მიზნით თხოულობენ მავთულსო. ჩემს მითითებაზე, რომ ეს ასეც იყოს, რომ მათ სჭიროდეს მავთული ვენახების შესაკრავად, ან სახელოსნოებისათვის, იმ შემთხვევაშიაც თქვენ უფლება არა გაქვთ უარი უთხრათ მათ, რადგან ეს ქონება მათი კუთვნილებაა, ამაზე მე მივიღე თქვენგან შემდეგი პასუხი: „როდესაც მე ვლაპარაკობ სხვა მიზნებისათვის, აქ მხედველობაში მაქვს არა ეს საჭიროებანი, არამედ—სულ სხვა, რომელსაც მე თქვენ დაგიმტკიცებთო“. ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი კილოთი და ხაზგასმულ მნიშვნელობითი იყო ნათქვამი, რომ იქ მყოფ მრავალ მოსამსახურეთა და გარეშე პირთა საერთო განცვიფრება გამოიწვია. როდესაც ერთ-ერთ მოსამსახურეთაგანმა გითხრათ, რომ აქ სენაკის ერობის მიერ არის წარმოდგენილი მოთხოვნილება და თან გამოგზავნილია მისგან სატელეფონო საქმის მცოდნე სპეციალისტი, რომელმაც უკვე გახედა მავთულს, თქვენ იმავე კილოთი საჯაროთ უპასუხეთ: „თქვენ არ იცით რა მიზნებისათვის უნდათ მათო“, რამაც ყველა იქ მყოფთ დაუბადა ეჭვი სენაკის სამაზრო ერობის რაღაც არა საკადრის საქციელში. უეჭველია, თქვენ ბ-ნო ისიდორე, გექნებათ შესაფერი ამის საბუთებიც, ვინაიდან მე ვერ წარმომიდგენია, რომ თქვენ უსაფუძვლოდ ჩირქი მოსცხოთ და ისიც საჯაროდ ისეთ დაწესებულებას, როგორიც არის ერობა. სრულიად დარწმუნებული, რომ თქვენ-თქვენი სიტყვის პატრონი ხართ, იმავე დროს არა ხართ პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებული, იმედია პასუხს გამცემთ შემდეგ კითხვებზე: 1) მიგაჩნიათ თქვენ თუ არა დასაშვებად სარგებლობდეთ იმ ერობათა ნდობით, რომლებიც თქვენის ფიქრით, არა საკადრის და საეჭვო საქმეებს აწარმოებენ. 2) თუ თქვენ მათი ასეთი მოქმედების საბუთები მოგეპოვებათ, როგორც საჯაროთ ბრძანეთ, „არა ერთი და ორი ერობის შესახებ მე ამას დაგიმტკიცებთო“—სცნობთ თუ არა თქვენ დასაშვებად ამის დამალვას. 3) ინებებთ თუ არა კერძოთ სენაკის ერობის შესახებ გამოქვეყნებას ამ საბუთებისას, რომელნიც თქვენ ხელთ უნდა იყოს, სამი დღის განმავლობაში პრესის საშუალებით.

სენაკის სამ. ერობის გამგეობის რწმუნებული **ალ. კინწურეიშვილი.**


# განცხადებანი

1918 წ. ბათუმის დაცემის დროს **დაიკარგა ჯარის კაცი ალექსანდრე სტეფანეს ძე შენგელია.** მას შემდეგ მისი ვერაფერი გავიგეთ და თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგო მაცნობოს შემდეგი მისამართით: დ. კულაშა. (ქუთ. მაზრა) სოფიო შენგელიას. (კუპ. 541 1—1)

## იყიდება

**ფეხით საკერავი მაშინა** და სხვა საოჯახო ნივთები. წყნეთის ქუჩა № 10, ეზოში. (1904 1—1)

## იყიდება

**ქ. ლანჩხუთში ორ თვალიანი**

## ქვის დუქანი

საუკეთესო ადგილზე. პირობების შეტყობა შეიძლება: ლანჩხუთში თომა ებრალიძესთან, თფილისში (ინჟინერის ქ. № 4) ნინო ართმელაძესთან. (1903 1—1)

**გაუფრთხილდით თქვენს ფეხსაცმელებს!** რომ დარწმუნდეთ, იყიდეთ ფრანგული კრემ-გლიანცი

## „ნობლეს“

რომელიც იფარავს ფეხსაცმელს სინესტისა და აძლევს მას მშვენიერ ფერს, ბრწყინვალებას. არის 4 ფერი კრემი. იყიდება: 1) კავკ. საფთ. საქ. ვაჭრ. ყველა მაღაზიებში, 2) „თფილ. კოოპერატივის „ყველა განყოფილებაში და სხვა საუკეთესო მაღაზიებში. (1993 1—1)

ექიმი

## პ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი

## გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

## გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს სალამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი

## ივ. გოკერია

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 1—97. (1835—თ.)

დოქტორი

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და სალამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი

## ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და სალამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი

## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი

## ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი

## ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და სალამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. კ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

ექიმი

## ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, სალამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე, ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და სალამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **მ. გოლშტეინი**

**თვალით ავათმყოფი** (სათვაალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

## ე. გ. მძინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი

## ნ. გ. ბაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, სალამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

## სათვალეების (ოპტიკური) მაღაზია



## ა. რაზამატ

ვორონცოვის ხიდი, ალექსანდრეს ბაღის ახლო, სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ წინ. მიღებულია სათვალეების (ოპტიკური) შუშები) ყველა ნომრისა, ჩარჩოები სათვალეებისათვის და პენსნესთვის სხვა და სხვა ფასონისა და სახის. მიღებულია ლორნეტები სხვა და სხვა ფასონისა და სხვა სათვალეებისთვის საჭირო ნივთები. არის სპეციალური სახელოსნო რთულ შუშების გასახეხათ. (1890 1—1)

## მიწათ-მოქმედების სამინისტრომ

გახსნა რუსთაველის პრ, № 24 სახელმწიფო ღვინის თფილისის სარდაფის განყოფილება, სადაც იყიდება ყოველნაირი სახელმწიფო ღვინოები. (1882—3—2)


საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.